# ცისკარი

1862

იულისი.

წელიწადი მეექუსე.

## [illegible] თხზულებათა.

I. — სიტყუა. ხორც. კვირიაკესა ზედა. გაბრიელ ეპისკოპოზისა.
II — თამარ. საქართველოს ბატონიშვილი. (ისტორიული რომანი.) გრ. ორბელიანისა.
III. — ლექსები სხუა და სხუა მწერლებისა.
IV — გიორგის IX მეფობა. . . თეიმურაზ ბატონიშვილისა.
V. — სხუა და სხუა ამბავი. (იხილე მეორე გვერდზედ.)

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

## სიტყუა

### კვირიაკესა ზედა ხორციელისასა.

და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა ხოლო მართალნი ცხოვრებასა საუკუნესა.

არა უმიზეზოდ დააწყსა მმანო ქრისტიანენო წმიდამან ეკკლესიამან წაკითხუა დღეს სახარებისა მის,რომელი გამოხატავს მეორესა მოსვლასა და საშინელსა სამჯავროსა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა. მოახლებულ არიან დღენი ლოცვისა და მარხვისანი, რომელთა შინა ჩუეულება გვაქუს ჩუენ

მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა მონანება და მიღება წმინდისა საიდუმლოჲსა, ამისთჳს წმინდა ეკლესია ადრიდგან გვამზადებს ჩუენ, რათა ღირსად აღვასრულოთ საღმრთო ვალი ესე ჩუენი და სიწმინდით განვატაროთ დღენი დიდისა მარხვისანი. ერთსა მახლობელს წარსულსა კჳრიაკესა წაკითხულ იქმნა ეკკლესიაში სახარებისაგან იგავი მეზჳრისა და ფარისეველისა, რომლითა მაცხოვარმან გვასწავა ჩუენ თუ ვითარ ჯერ არს ლოცვა და მონანება. მეორესა კჳრიაკესა იგავითა უძღებისა ვისწავლეთ ჩუენ ვითარ დაამდაბლებს ცოდვა კაცსა და ვითარ მამა ჩუენთ ზეციერი ელის მონანებას კაცისა ცოდვილისაგან სიხარულით მიიღებს კაცსა მონანულსა, ბოლოს, დღეს წაკითხულისა სახარებითა საშინელის სამსჯავროჲსათჳს წმინდა ეკკლესია შეგვაგონებს ჩუენ ვითარი ხვედრი მოელის კაცსა ცოდვილსა და მართალსა.

ჭეშმარიტად ძმანო ქრისტიანენო, ვგონებ რომ ვერცა ერთი ჴაზრი და წარმოდგენა ისთე ვერ განაღჳძებს გონებასა და გულსა კაცისასა და ვერ განაფხიზლებს მას ვითარცა ჴაზრი და წარმოდგენა საშინელისა მის და შეუძრწუნებელისა წამისა, როდესაც კაცი თჳთ პირისაგან ღ̃თისა გაიგონებს უკანასკნელსა და დაუსრულებელსა მისსა განჩინებასა. ბრძენი და ფრიად გამოცდილი ისუ ზირაქი იტყჳს წიგნსა შინა თჳსსა: ყოველთა საქმეთა შინა შენსა, მოიხსენებდე უკანასკნელსა შენსა და უკუნისამდე არა სცოდო. ხოლო უკანასკნელი ყოვლისა კაცისა არის საშინელი სამსჯავრო. უკეთუ კაცი ყოველს დროს და ყოველთა საქმეთა შინა მისთა წარმოიდგენს საშინელსა სამსჯავროსა ქრისტესსა მრავლისა ცოდვისაგან დაიცავს იგი თავსა თჳსსა: ვიფიქროთ ძმანო ამაზე აქ ამ ქ̃ყანაზე, კაცი თუმცა ადჳლად სცოდავს და ხშირად

ივიწყებს გარნა ის იმედი აქუს რომ ცოდვასა მისსა არავინ შეიტყობს ყოველი კაცი თავის მომწონე არის; ყოველ კაცს ეშინია რომ არავინ ცუდი რამე არ იფიქროს მას ზედა; ყოველი კაცი ცდილობს რომ დამალოს და დაფაროს თჳსი ცოდვა და ცუდნი თჳსებანი. ცოდვას უყვარს სიბნელე და დუმილი, ეს უეჭუელია და ჭეშმარიტი, რომ უკეთუ კაცს არ შეეძლოს ამ სოფელში დაფარვა ცოდვისა თჳსისა, უკეთუ იგი დარწმუნებულ იყოს რომ იმავე წამს როდესაც იგი იზამს ცოდვას ყოველი მისი ცოდვა იქნებოდა შეტყობილი ყოველთა კაცთაგან, არ გაბედავდა და ვერ იზამდა იგი მრავალთა თჳსთა ცოდვათა, გარნა წარმოიდგინე ძმაო რომ ამ საშინელ დროს ესე იგი მეორედ მოსვლასა უფლისასა წინაშე პირსა ყოვლისა ქუეყანისა გამოჩნდება ყოველი შენი ცოდვა. უკეთუ აქაც ამ სოფელში ზოგჯერ ისთე

შეგრცხჳყბა შენ, როდესაც სადმე დიდ შე-
კრებილებასა შინა შენ პატივი არა გცეს
და ან ცუდი რამე სთქჳყს შენზედ ანუ
შენ მეგობარზე; რომელ თჳთქმის ალარ
იცი სად დაიმალო სირცხჳლისაგან; წარ-
მოიდგინე ვითარი სირცხჳლი და განკიც-
ხვა შეგემთხვა მაშინ, ოდეს ცა და ქჳყ-
ანა ყოველნი მცნობნი და უცნობელნიცა
შეიტყობენ შენსა სირცხჳლსა და წახთენასა.
ამ სოფელში შენ, რასაკჳრველია, გუავს
მრავალი მეგობარი და მოყვარე, ფრიად
გეწყინება, რომ იმათ ცუდი რამე შეიტყონ
შენთჳს, წარმოიდგინე რომ არათუ მხო-
ლოდ იგინი, არამედ მთელი ქჳყანა, ან-
გელოზნი და კაცნი გიხილავენ შენ მდგო-
მარეს მარცხნით წარწყმენდულთა შორის,
ჵ ვითარი გამოუთქმელი სირცხჳლი და
შემუსვრვა დაგეცემა შენ იმ ჟამად. იქნება
ამ ქჳყანაზე მრავალთა მიაჩნდი შენ კე-
თილათ კაცათ ღჳთის მოყვარედ ყოველთჳს

იქმნება აქ ატეუებდი შენ მოყვასთა შენთა შენითა კეთილითა სახითა და გარეშეობითა; გარნა მუნ გამოჩნდება რომ ესე ყოველი იყო სიცრუე; იქ შეიტყობენ ყოველი რომ ღჳთის მოყვარება შენი იყო მხოლოდ თვალ ღება; სიმართლე გქონდა შენ მხოლოდ ენასა ზედა და გული შენი კი იყო აღვსებულ ბოროტებითა და უსჯულოებითა. ერთი სიტყჳთ იქ დამტკიცდება თუ ვითარი კაცი იყავი შენ.

მეორედ, ძმანო ჩემნო, ამ სოფლად თუმცა კვალად ვსცოდავთ ჩჳენ, გარნა ყოველთჳს გვაქჳს იმედი რომ ოდესმე მოვინანებთ ცოდვასა ჩჳენსა თუმცა ვარღვევთ ხშირად სჯულსა; გარნა მრავალ მიზეზს მოვიგონებთ ჩჳენდა სანუგეშოდ და მრავალ ფერად დავაჩუმებთ სჳნიდისსა. სჳნიდისი ჩჳენი ხშირად შეკრული არის და დაბნელებული ამ ქჳეყანაზე; გარნა იმ საშინელს დღეს კაცსა ცოდვილსა მოეს-

ჰობა ყოველი თავის გასამართლებელი მიზეზი და ყოველი ნუგეში. რითღა გაიმართლებს მაშინ თავსა თჳსსა კაცი წარწყმედული, რით დაამშჳდებს იგი სჳნიდისსა, აღარ დარჩა დრო მონანებისა: იგი იქმნა გამოყოფილ მართალთაგან დადგენილ შორის წარწყმენდილთა. მან გაიგონა უკანასკნელი განჩინება თჳსს ზედა. სჳნიდისი მისი განთავისუფლებული ყოველთა ცბიერთა და ცრუთა ჴაზრთა და მიზეზთაგან, იწყებს ტანჯუასა და ქენჯნასა მისსა უწყალოდ ყოველნი მისნი ბოროტნი სიტყვანი და საქმენი, ვითარცა ლაშკარნი უწყალონი წინა დაუდგებიან მას და იწყებენ შემრწუნებასა და შემუსვრასა მისსა, შემუსვრილი და გაშტერებული შიშითა და ურვითა მაშინ იწყებ შენ ვედრებასა თავისა შენისასა, შენი ცხოვრება და მოძრაობა მაშინ მოგაგონდება შენ თჳთოეულად ყოველი ბოროტი ცოდვა. რაოდენი წელი-

და ჟამი დაკარგე შენ უქმად და უნაყო-
ფოდ. სულისა შენისათჳს; რაოდენი მად-
ლი და ნიჭი ღუთისა გააუქმე შენ ცოდ-
ვათა და უსჯულოებათა შინა. რაოდენ
გზის ღმერთმან მოგცა შენ შემთ-
ხვევა მონანებისა და მოქცევისა, გარნა
შენ უგულებელ ჰყავ იგინი, რაოდენ გზის
მრავალ ფერად შეაგონებდა შენ იგი, გა-
რნა შენ დარჩი ყრუ და ბრმა ყოველთჳს,
რას ვფიქრობდი, მე უბედური, ეტყჳ შენ
მაშინ გოდებით და ტირილით თავსა შენსა,
ვის ვემსახურებოდი მე; ვის შევსწირე ყო-
ველი მალი და გონება. ამაოდ აღიპყრობ
ხელთა შენთა. გათავდა ჟამი მონა-
ნებისა; მოისპო დრო მოწყალებისა და
შეწყალებისა. თქმულ არს საშინელი
იგი: წარვედით ჩემგან წყეულნო ცეცხლსა
მას საუკუნესა. მაშინ აღსრულდება შენზედა
წინასწარ თქმული უფლისამიერ; აჰა ესერა
მოვლენ დღენი რომელთა შინა იწყონ

სიტყვად. მთათა დამაცნინ ჩემზედა და ბო-
რცვთა დამფარვენით ჩუჱნ კაცი ცოდვილი
და მიმავალი ჯოჯოხეთათ, დასწყევლის
მაშინ დღესა შობისა მისასა; იგი ისურ-
ვებს როგორმე მოსპოს და განაქარვოს
თავი თჳსი: გარნა ამაოდ იურვის იგი;
უმაღლესმან სიმართლემან და მართლმსა-
ჯულებამან ღუთისამან მიაგო მას მსგავსად
საქმეთა მისთა, და ვინ წინ აღუდგების
განჩინებასა მისსა.

ამას ყოველსა დაუმატე მძაო ესეცა ამ
ქუეყანაზე; რაც გინდა საშინელი ჭირი და
სასჯელი დაემართოს კაცსა, მაინც ანუგეშებს
იგი თავისა თავს მით, რომელ ოდესმე
გათავდება ჭირი მისი, ვსთქუათ, რომელ
ისრეთი რამე უბედურება შეემთხვა კაცს აქ
რომ სიკუდილამდე უნდა ითმინდეს მას,
გარნა სიკუდილი მოსპობს უბედურებასა
მისს. ხოლო უკანასკნელი ესე სამსჯავრო
მით უმეტეს არს საშინელი და შემმუ-

სვრელი სულისა, რომელ განჩინება მისი იქნება უკანასკნელი; წარწყმენდა და ტანჯვა ცოდვილისა დაუსრულებელი. წარმოიდგინე გევედრები ძმაო ჩემო ესე მდგომარეობა ცოდვილისა კაცისა. გეენიასა შინა გარესკნელსა; უფრსკულსა შინა და სიბნელესა შინა ტარტაროზისასა და იცის რომ არ ექმნება დასასრული ტანჯვასა მისსა. ცოდვილი იტანჯება გამოუთქმელად.

ხოლო ვინ გამოხატავს ბედნიერებასა მართალთასა. ვის შეუძლია იგრძნოს სიტკბოება გულისა მათისა, როდესაც იგინი გაიგონებენ სიტყუასა. მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი დასაბამიდგან სოფლისა. გათავდა ყოველი მათი შრომა და მწუხარება! მიიღეს მათ გჳრგჳნი, რომლისათჳსცა იგინი იღვწიდენ და ურვიდენ ამ ქუეყანაზე. იხილეს მათ რიგი რომელსა სული მათი ემიებდა, მა-

თი შეერთდენ იგინი მასთან რომელი იყო წადილი და მისწრაფება მათი ამ სოფელ-ში. განძღნენ იგინი ხილვითა და სიტყუ-თა ტკბილისა და საყვარელისა მის მეუ-ფისა რომლისათჳს შიოდა და სწყუროდა მათ ქუეყანასა ზედა: და წარვიდენ ესენი სატანჯუელსა საუკუნესა, ხოლო მართალნი ცხოვრებასა საუკუნესა.

ხოლო ახლა გლოცავ თქუენ საყვარე-ლო ვიდრემდის დრო გვაქუს, ვიდრემდის ღმერთი ითმენს ჩუენ ცოდვასა, ხშირად მარადის წარმოიდგენდეთ საშინელსა ამას მეორედ მოსვლასა, მით განაფთხილებდეთ თავსა თქუენსა. ხოლო მსურსცა შევიტყო რით შეგიძლია განერნე ხვედრსა ცოდვილ-თასა და მიიღოს ამ ჟამად ნაწილი მარ-თალთა თანა, ესეც დღეს წაკითხულისა სახარებისაგან, მაცხოვარი ეტყჳს მარჯუ-ენით მდგომარეთა: მშიოდა და მეცით ჭამადი: მწყუროდა და მასუთ მე; უცხო

ვიყავ და შემიწყალეთ მე; შიშველ ვიყავ და შემმოსეთ; საპყრობილესა შინა ვიყავი და მოხვედით ჩემთანა; აჰა რა აცხოვნებს კაცსა ჰყავ შენცა ესე უკეთუ გსურს ცხოვნება.

გაბრიელ ეპისკოპოზი.

---

# თამარი საქართველოს ბატონის-შვილი.

(განგრძელება.)

## თავი 4.

იქნებოდა პირჳმლი ვახშმობა. სამხე მთვარე უხვად აბნევდა ვერცხლის წყაროსა ტფილისის დაბალთ სახლე-ბზედა მის გარეშემო ბორცვებზედ. სამხრეთის მხარეს ქალაქისა, სადაც ეხლა გაშენებულია იულონ ბატონის შვილის ბაღი (ბოტანიჩესკის ბაღი სოლოლაკის თავზედ), ერთს კლდის ძირში წამოწოლილი იყო ყმაწვილი კაცი, შთანთქმული ღრმა ფიქრში. იმის სიახლოვეს, თავქჳე, ასიოდ ნაბიჯზედ, მოჩანდნენ შავნი შენობანი, რომელ-შიაც მთვარე ამაოდ ცდილობდა შთაებნია რაოდენიმე სასიამოვნო სხივი თჳსი. ეს შენობა იყო საპყრობილე და გიჟების სახლი, აშენებული ღრმის ხევის პირზედ.

დანიშნულთა სასიკვდინოდ დამნაშავეთა. საპყრობილის კოშკიდგან გარდააგდებდნენ ხოლმე თვალებ ახვევულს და ხელებ შეკრულთა იმ ხევში, სადაც საცოდავნი ჰპოვებდნენ ხოლმე საუკუნოდ განსვენებას.—ფეხის ხმაურებამ გამოიყვანა მძიმეს ფიქრისაგან კლდესთან წამოწოლილი უმაწვილი კაცი, რომელმაც აღიწია თავი და დაინახა მთვარის სინათლეზედ ორი გრძელი ჩრდილი, მისკენ მიმავალნი. უმაწვილი კაცი მსწრაფლად წამოხტა და იტაცა ხანჯალს ხელი; ეს მოძრაობა შეამცნეს ჩრდილის პატრონებმა, და ერთმა მათგანმა შეჰსძახა მაღალის ხმით:

—ვინა ხარ, შე უბედურო, რომ ამ დროს აქ დაეხეტები? შენ არ იცი, რომ ღამე საპყრობილესთან სიარული, აკრძალულია?

—მე აქ არც საპყრობილესა ვხედამ და არც სასახლესა უპასუხა ამაყად უმაწვილმა კაცმა: ახლოს მობძანდი და გაიგებ ვინცა ვარ.—

—გვემუქრები! აბა ვნახოთ, ახლოდგანაც ეგ გული გექმნება! მაღალი ჩრდილი მიახლოვდა მას გასაჩხრეკელად.

—ოჰ, ბატონო?...

—აა, შალვავ, შენა ყოფილხარ? უთხრა მაღალმა ჩრდილიანმა, რომელშიაც შალვამ იცნა გიორგი მეფე.

—ამ დროს აქეთ რას გადმოუხვეწიხარ?

—ისე, შენი ჭირიმე, ფიქრმა და მთვარემ გამომიტყუეს, მოახსენა შალვამ ამოხვრით.

—და კიდევ მგონია ხარი-პარია ვარსკვლავმა, რომელსაც ეკუთვნის ეგ შენი ღრმად ამოხვრა, მოუმატა მეფემ ღიმილით.

—არა შენი ჭირიმე! ჩემი ვარსკვლავი უკვე ქრება ჩემთჳს, გაუნათლებლივ...

—შენი ბრალი უნდა იყოს. ლამპარს მარად ზეთი უნდა უმატო, რომ პატრუქი არ გაქრეს, უთხრა მეფემ: მაგრამ უფრთხილდი, ასკილი ვარდად არ მიიღო და გუ-ლი არ დაიკოდო.

შალვამ კვალად ამოიოხრა ამის პასუხად,—თუმცა ცდი-ლობდა, რომ ტყუილის ხველით დაეყრუებინა ეს აღმოხვრა.

—უკვე გვიან არის გაფრთხილება? განაგრძელა მე-ფემ: სიყვარულს უკვე მოუთხოვნია ხარკი თჳსი—ოხვრა? ვისი წალკოტიდგან არის შენი დამატყვევებელი ვარდი, რომლის ყნოსვაც ეგრე გაგჭირვებია?

—ედემიდგან, შენი ჭირიმე! რომლისაც კარები დახ-შულია ჩემისთანა ჩჳეულებრივის მომაკვდავისათჳს ძლი-ერის კლდით.—

—შენც ღობიდგან ეცადე გადახტე; მეც გიშველი; ეკლებს გარდაგიწევ, ბძანა მეფემ: ბაღის პატრონი მით-ხარ,—იქნება ღობეზედ კლდები არ დაგაკოდინო და კარები გავაღებინო,—

—ნუ შენი ჭირიმე, დიდებულო მეფევ, მოახსენა შალვამ: ნუ გეერევით ამ საქმეში, იმ ვარდს სხჳა დანიშნულება აქჳს.

—მებაღე, მებაღე მითხარ მისი! ბძანა მეფემ მოუთმენე-ლობით: მეც ჩემს სიჭაბუკეში ბევრი ვარდი მომიგლე-ჯია მებაღის დაუკითხავად.

—ჩემო მოწყალევ მეფევ! ნუ გამირისხდებით... ვერ გავბედამ ვახსენო... მეფემ შუბლი შეიჭმუხვნა.

—შენი საქმე სულ საიდუმლოთი არის დაფარული, ბძანა მან: არ მესმის, ეგ შენი უნდობლობა რას მივა-

წერო?

—ჩემს უბედურებას, შენი ჭირიმე, მოახსენა შალვამ: სასტიკი გარემოება იძულებულ მყოფს ამ საიდუმლოს დაცვას დროებადმდე.

—თუ გიჯობს, შენ იცი, უთხრა ცივად მეფემ და განარძელა გზა,

შალვა მიჰსდევდა მას დაღონებული.

—აღარა მაქჳსრა შენთან სათქმელი, უბძანა მეფემ ცივად. შეგიძლიან თავისუფლად მიეცე ოცნებასა შენის ედემის ვარდზედ.

შალვამ ამ ცივს ხმაზედ მეფისა იგრძნო, რომ იგი მოაკლდა მის მოწყალებას. შეიწროებულის გულით დაუკრა მან თავი მეფესა და გამობრუნდა.

ხოლო, რა გარდმოჰსდგა მეფემ რამდენიმე ნაბიჯი მას შემოესმა ტირილი.

—შალვავ? დაუძახა მან.

შალვა მოიჭრა თვალ ცრემლიანი.

—რა გატირებს?

—ვჰსტირი ჩემს შავს ბედსა, რომელიც ესრედ დაუღალავად მდევნის. ამან ეხლაც იძულებულმყო უნებურად მეწყენინებინა თქჳენთჳს.

მეფემ ჴელი დაუჭირა შალვას.

—შალვავ, რას იფიქრებ იმ ავათ მყოფზედ, რომელიც სნეულებისაგან შეწუხებულა, და საუკეთესო მკურნალს არ ეუბნება თავის სატკივარსა?

—მე ვიფიქრებ, შენი ჭირიმე, მოახსენა შალვამ. რომ თქმა სნეულებისა და ექიმისაგან ავათმყოფზედ ჴელის

ალება-ერთი იქმნება.

მეფემ გაოცებით დააშტერა მას თჳალები და შევიდა ფიქრში.

—არ მესმის, ბრძანა მან: ჰსჩანს გულში გაქჳს რამა ჩემთან დანაშაული, რომელიცა ვერ გაგიბედამს მომახსენო. მე კი ესრედ გულით მინდოდა შენთჳს სიკეთის ქმნა.

—შენი ჭირიმე, თუ მიბრძანებ, ხჳალ მოგახსენებ ყოველსა ჩემს გარემოებასა, და იქიდგანა ჰსცნობთ, რა მიზეზითაც არ ვეშურებოდი მომეხსენებინა ჩემი უბედურება.

—ხჳალ მე არ მეცლება, უბრძანა მეფემ: წადი და სასახლეში მომიცადე, მეც ეხლავ დავბრუნდები; მოელოდე უკეთესსა და არა უარესსა.

შალვამ თავი დაუკრა და გამობრუნდა.

—მოიცა! მოუწოდა მას კვალად მეფემ.

შალვა ისევ დაბრუნდა.

—აქ წამომყევ, უბრძანა მას მეფემ: პირველად მე მინდა გაჩჳენო მაგალითი ნდობისა. მე ვხედამ, რომ შეგძლებია საიდუმლოს დაცვა. გიჟების სახლში არის ერთი საცოდავი შემცდარი ჭკჳაზედ, საშიშია იმისი გამოყვანა იქიდგან. ოც და ორი წელიწადია რაც იქ იტანჯება. წყალში შვილი დახრჩობია და იმის მიზეზით შემცთარა. გუშინ იმისმა მცჳელმა მითხრა, რომ გონებაზედ მოსულა და ნდომობს შენს უკანასკნელად ნახვასა.— თუ რომ ღმერთს უბრძანებია და მართლა განთავისუფლებულა სიგიჟისაგან, მინდა გამოვაყვანინო... ღმერთმა მიუტევოს, რაც იმას შეცოდება აქჳს ჩემთან და რა მიზე-

ზითაც თჳთონ ძალიად თავი წაიხდინა. ამ ლაპარაკში იგინი მიახლოვდნენ საპყრობილესა, რომლის შავს კედლებს ღამის ჩრდილი უფრო აბნელებდა. კაცი, რომელიც მიჰსდევდა მეფეს, დაწინაურდა და სჩქაროდ აანთო ორ-ორი კელეპტარი. იგი მივიდა ერთს განმარტოებულსა ოთახთან და გააღო კარები; შემდეგ ამ ოთახიდგანაც სხჳა კარები გააღო, რომელმაც რამდენისმე კიბით შეიყვანა სხჳა ოთახში. მეფე და შალვა შემობრძანდნენ; მათ ნახეს კუთხეში ხალიჩაზედ მიწოლილი კაცი, წელამდინ საბნით დახურვილი, რომელიც საშინლად ფშვინამდა და ამ ფშვინვას მოჰსდევდნენ ხშირნი კრუსუნი.—ფეხის ხმაურობაზედ და სანთლის შუქზედ ამ კაცმა თავი აიწია. აძენძილი ჭუჭყიანი თეთრი თმა ჩამოჰკიდებოდა მას თავიდგან საბნამდე, ამ თმასთან შეერთებულიყო წვერ ულვაში, რომელთაც ასე ჰგვანდა, თავის დღეში სავარცხელი და წყალი არ მიჰკარებოდნენ, და სრულიად სახე ამ საცოდავისა ბალნისაგან იყო დაფარული, თვალების გარდა, რომელნიც ციების სიცხისაგან აღგზნებოდნენ, ვითარცა ზიზილაკი. მან პირველად მიაქცია ეს მხეცური გაზიზილაკებულნი თვალნი შალვასა, და განგრძელებით დააშტერდა, შემდეგ მან დაყოვნებით გარდიტანა ჭვრეტა თჳსი გიორგი მეფეზედ.

—ოო, ჩემო მტარვალო, ჩემო სულთამხუთავო, დიდო მეფევ! შეჰყვირა ამ კაცმა მთრთოლვარისა და გაწყვეტილის ხმით: სადა ხარ, დიდო თამარ დედოფლის შვლო! რატომ ერთხელ აღარ მომხედე; ნუ თუ აღარ გიყვარვარ აღრინდელივით.. . აღარ მახსოვს როდის იყავ

უკანასკნელად ჩემ სანახავად... ოო, რა გჳან გადის დრო უბედურთათჳს!... ახლოს მოდი, ჩემკენ, დავსტკბები ჩემის ტანჯვით, მაგრამ დიდხანს აღარ გავიამოვნებ ჩემის ტანჯვით: ჩემი დღეები დათვლილია; მე ვჰგრძნობ, რომ დღე დღეზედ მძაფრი სიცხე ხრუკამს და ჰკუწამს ჩემს გულღჳძლსა!... ოო, ღმერთო შემძლებელო! ჩქარა, ჩქარა მიმიწოდე ჩემთა წინაპართანა, ჩემს წმინდა თამარ დედოფალთანა; უამბო მას შენი ბედნიერი მეფობა, შენი ქველობა, სიმართლე, სათნოება... ოჰ, ლაშავ, ლაშავ! ოცდა თორმეტის წლისა ვიყავ, როდესაც აქ შემოველ; მაშინ შავი ულვაშები, შავი ბრწყინვალე თმა, ლომებრივი გული აშვენებდნენ ჩემს ყმაწვილ კაცობასა... ეხლა რას დავემსგავსე; რომელს მხეცს არ შეზარავს ჩემი შეხედულობა?. მახსოვს, მეც დიდი დანაშაული მაქჳს შენთან... განა არა ვგრძნობ ხოლმე ამას ხან და ხან... ოცდა ორი წელიწადია, რაც ეს უბედურება შემემთხვა, რაც მითხრეს ურემი გადაბრუნდა ალაზანში და დაირჩვნენო!.. ვინ გაიგო ჭსწორეთ რომ ისინი იყვნენ?., ვის შეჰტკიოდა გული, ვინ მოანახჳნებდა?..

—დედი ჩემის თამარის საფლავის მზემ, უთხრა მეფე გიორგიმ, მე მთელი კახეთი გადავაბრუნებინე და ვერა ანბავი გავიგერა; ვეღარც ის გლეხები ვჰპოვეს, ვისთჳსაც მიგვებარებინა.

—კმარა, კმარა! ნუ მტანჯავ. მე რომ ერთხელ კარზედ გამოვსულვიყავ, მე ვიპოვნიდი, მე მოვნახამდი, არა კახეთში, სხჳაგან: სხჳაგან... ოცდა ორი წელიწადია რაც მე მზე და მთვარე აღარ მინახამს, აღარ მახსოვს

საიდგან ამოდიან და საით ჩადიან; აღარ ვიცი, ისევ ისე ანათებენ ქუეყანასა თუ არა?... მე ხო მამა ვიყავ ამ ოცდა ორის წლის წინად... მე ხომ ვაჟი შჳლი მყვანდა, სად არის იგი?... ოჰ, ღმერთო! რადათ მიბრუნებთ ხოლმე მე უბედურს მეხსიერებას; სიყვარულს, რატო გონებასთან ესენიც არ წამართვი?.. ოჰ, ჩემო სიყრმის შჳლო! სადა ხარ, ვისმა უღმრთო მარჯუენამ მოგიღო ბოლო?.. ნუ თუ ალაზნის ზვირთებმა ჩაგნთქუეს?.. ნუ თუ უბედური მამა არ შებრალდათ მათ?.. ეხლა ამ ყმაწჳლისოდენი იქმნებოდა.. მან შეხედა შალვას და თვალთაგან წარჰსქდა ამ უბედურს უხვი წყარო ცრემლისა, ცრემლისა, რომელსაც დიდი ხანი იყო იგი მოკლებული. მეფემ რამდენჯერმე დააპირა სანუგეშო სიტყჳს წარმოთქმა, მაგრამ ესეც მეტად აღძრულ იყო ამის საცოდაობით და ვერ მიიცა ხმას სიმტკიცე სათქმელად საიმედო სიტყჳსა რისამე. შალვასაც საშინლად უღელამდა გული და ვერა ბედამდა მეფის მორიდებით ეთქუა რამ.

შემდეგ, რა მოხუცს დაუმშჳდდა მცირე გულის ღელვა ცრემლისაგან, მან წამოიწია და დაიჩოქა.

—მეფევ! წარმოჰსთქუა მან, რა განაპყრო მთრთოლვარე მკლავები და აღავლინა თვალნი ზეცისადმი: დიდის შენის გულისათჳს მომიტევებია შენთჳს, მხოლოდ შენთჳს, ყოველი შეცოდება, ყოველი ჯოჯოხეთური ტანჯვანი, რომელნიც ამ საშინელს სახლში გამოვიარე! ღმერთსა ვთხოვ რომ, აღარც იმან მოგთხოვოს ამის სამაგიერო პასუხი, რომელშიაც ვერა რაი გაგამართლებს!.. აღარ დამშთენია რამდენიმე დღის სიცოცხლე. სათვალავის

შორიდგან გვკვდრება შენთან დამნაშავე, მაგრამ დიდად უბედური მამა, შეიბრალე ეს თმა, ეს უბედური ჩემი თავი (მან შემოიკრა ხელი თავში). მითხარ, თუ გინდა მომატყუე. რა უყავით ჩემს შვილს? ცოცხალია თუ აღარა? ვისმა შეუბრალებელმა ხელმა გამოსჭრა უმანკო კრავსა ყელი?... ვისმა სისხლიანმა ხელმა ამოუთხარა მას საფ-ლავი?.. ანუ ნუთუ მართლა ალაზანმა დამიხრჩო და გნა-ხამ იქ, სადაც ეხლა ვემზადები წასასვლელად?...

—გეფიცები დედის ჩემის თამარის სულს!..

—კმარა კმარა ნუ მეფიცები! გააწყვეტინა მოხუცმა და დაჰკიდა თავი.—ოო უბედურო მამავ! ოჰ. ოჰ. უბე-დურს ვარსკვლავზედ დაბადებულო შვილო! ნეტა სადახარ ჩემო ქორფა შვილო, ჩემო პატარა მალვაზ!..

ოჰ, მამავ! მე ვარ შენი შვილი მალვაზ! შეჰყვირა მალ-ვაზმა ტირილით და მივარდა გულზედ მამასა.

მიმინდვ ა მკითხველთათვის წარმოიდგინოს გულის აღრეულება და გრძნობანი, რომელნიც დაჰბადა მუნ მყოფთა შორის ამ სახილველმა. ამისი აღწერა უფრო ძნელია, ვიდრე წარმოდგენა —მოხუცებულს მაშინვე გონება მიუხდა, რა შესძა მას ყურში სიტყვანი: მე ვარ შენი შვილი მალვაზ ა მეფე ბუტბუტებდა: ამ.ს რას ვხედამ! ეს რა მესმის, მალვაზ ცოცხალია ამ საცო-დავის შვილი.ა ჩქარა წყალი, ძმანო? უყვიროდა მწუხარე მალვაზ და გულში უყოფდა ეკრავს მამასა, თითქოს გუ-ლის გასამაგრებლად, რომ ბევრა არ შეჰკისუწყვეტოდა?

რა ცივი წყალი შეესხო მოხუცს სახეზედ, მან თვალე-ბი აახილა და ხელებით იწყო ფათურობა.

—მე ზეციდგან შემომესმა ხმა! საიდგან იყო, ვინ მითხრა შენი შვილი შალვა ვარო? სად არის? აბა ერთი გამაგონეთ, აბა დამანახვეთ, ლუღლუღებდა მოხუცი უგონოთ და იფშვნეტდა თვალებსა სინათლის მოსამატებლად.

—მე, მე, მამავ! მე ვარ შენი შვილი შალვა, რომელიც უმანწკლი გაუშვი პეტრე ერთგულაძეს ჴელში... მეფემ მოწყალება მიიღო, მოგიტევა ყოველი. გამხნევდი, მამავ, ეხლავ გავალთ ამ სახლიდგან?..

—ჩქარა სამთელი ახლოს! შეჰყვირა მოხუცმა: ვკვდები... ერთი შენი ხმა კიდევ გამაგონე. ერთი შენი სახე კიდევ დამანახვე შვილო, შვილო!.. თვალებზედ ჴელი მომისვი, მეხუჭება!.. მომეხვიე შვილო! ეგრე, ეგრე!. მეფევ!..გმადლობ... და მოხუცი გვალად გარდაიქცა.

ამაოდ ცდილობდნენ შალვა და იქ მყოფნი მოეყვანათ მოხუცი გონზედ. იგი უკვე აღარა ჰგრძნობდა შვილის მხურვალებით მოხვევნასა და მის ცხარეს ცრემლის დინებასა, ძლიერმა გულის მოძრაობამ სიხარულისაგან მოუსპო საცოდავს სიცოცხლე, რომელიც მალუზედა ეკიდა —

მეფე იდგა დაფიქრებული და აღძრული ამ სახილველისაგან. შალვა ტიროდა და ჰკოცნიდა მამას ცივს ჴელებზედ, რომელნიც თან და თან უშეშდებოდნენ.

მეფე მივიდა და აგლიჯა შალვა მკერდისაგან.

—იგმარე შვილო შალვავ. ჭმუნვარება, უბძანა მეფემ, მართლად განგებულებამ მოგვიყვანა ჩვენ ამაღამ აქა: შენ ამიტომ, რომ დაგეტკბო მამიშენისათჳს უკანასკნელი სიცოცხლის წამი შენის ნახვით; და მე ამიტომ, რომ მიმეღო მისგან მოტევება. მაგრამ ღმერთის მოწა-

შე, რომ მე დიდიხანია მსურდა ამ უბედურის განთავისუფლება, მაგრამ მეშინოდა არავისთჳს არა აუტეხარა სიგიჟეში, რომელიც სვე და სვე მოჰსდიოდა.—იცოდი შალვა, რომ ამის შვილი იყავ? ან თუ იცოდი ამისი ესე მდგომარეობა, რატომ ერთხელ არ მომაგონე? იქნება რომელისამე გზით აქედგან ადრე გასვლას გაეგრძელებინა მაგისთჳს სიცოცხლე, რომელიც ეხლა ესრედ საჭირო იყო ამ უბედურისთჳს.

—მე ვიცოდი, შენი ჭირიმე. რისაც დამნაშავე იყო მამა ჩემი თქვენთან, მოახსენა შალვამ: მაგრამ ისგი ალარა მცოდნია, ცოცხალი იყო კიდევ სადმე თუ არა, ვიდრე ჩემი სახელი არ ახსენა.—მაგრამ. როდესაც ამ უბედურმა გაახსენა ოცდა ორი წელი თავის პყრობილებისა, მე მაშინვე გულმა მიგრძნო, რომ ეს უნდა ყოფილიყო ჩემი უბედური მამა.

—ღმერთმა აცხონოს! ღმერთმა მიუტევოს ჩემი თვალის დამაკლება, როგორც მე მიუტევე, ბძანა მეფემ: შვილო, ეს მამა ღმერთმა წაგართო, ახლა მე დავიჭერ ამის ალაგს. გეცდები, რაც ამას ბოროტება მივაყენე ჩემის ახალგაზდობით და უმეტეს სხჳს რჩევით, შენ გადაგიხადო სიკეთით. გამოესალმე შვილო და მე მივილებ ზრუნვას ამის დასაფლავებისას ღირსეულად. პირველს შემთხვევაში დაგიბრუნებ შენს გვარსა და მასთან სხუა მოწყალებასა. ამ საცოდავის აქ ყოფნა თითქოს დაფარული იყო ქვეყნისათჳს, და არც ეხლა მინდა რომ შეიტყონ ამისი სიკვდილი.—მეფემ ჴელი დაუჭირა შალვას და გამოიყვანა ამ საშინელის სახლიდგან.—

რა უბედურს ვარსკვლავზედა ვარ დაბადებული! ამზრო-
ბდა მალვა, რა მეფე შებრძანდა სასახლეში და თვითონ
დაშთა მარტო: ვპოვე უბედურებაში ოც და ორის წლის
დაკარგული მამა, და თვით იმ დროს, როდესაც დაჰკრა
იმის განთავისუფლების ჟამმა, როდესაც მას უბრუნებდ-
ნენ თავის დაკარგულს შვილსა, თავის სიცოცხლეს და
ყოველს ბედნიერებას,—იმ დროს დალია მან ჩემს
გულში სული!.. რომელიც ღმერთმა ზეციერი სიტკბოდ გამშვენა
ჩემის სიცოცხლისა და თვით იმ დროს, როდესაც ქო-
დენ ძირს განიდევნილი ვფიქრობდი დავმტკბარვი-
ყავ მისის სიყვარულით და იმის მოხვევნაში და ალერ-
სში დამევიწყებინა წარსული უბედურება ჩემი, თვით იმ
დროს მოგლიჯეს მას გულიდგან და სხვას ამაყვეს!.. განა
ამაზედ უმეტესი უბედურება არის კიდევ გაჩენილი კაცი-
სათვის?!..

ამ საშინელს ფიქრში შესულმა მალვამ მიატანა იმ
ბერის ქოხსა, სადაც სოფიომ გაახარა იგი მარჯვლის
თამარის წერილით. მან ყრუბურად მიიტანა ხელი კარებ-
თან, რომელიც მეორედის შეხებით მაშინვე გაიღო და
პირველი საგანი, რომელიც შეხვდა მას თვალებში, იყო
სოფიო.

—ოჰ, მადლობა ღმერთსა!.. შეჰყვირა სოფიომ; მე
სული ამომხდა თქვენს ლოდინში; სამჯერ თქვენსა
მოვსულვარ და ვგონებ თქვენს მსახურს ივანეს ქუჩა
ზარ დარჩა ქალაქში, რომ არ მოესახა. გულები დამი-
ხეთქავს იმის, რა წარმოვიდგინე ფიქრში.. აი თამარის
წერილი,—რით გადაწყდა თქვენი ლაპარაკი რუსუდანთან?

—ნუღარა მკითხამ, სოფიო! ცოცხალი რომ აღარ მენახე ისა სჯობდა!.. ყოველი უბედურება ერთად შეიყ-რიბა და დღეს დამაწყა თავსა! ცასა და ქჳეყანას მიბნე-დებს რუსუდანი!.. მართმევს იგი გულიდგან ჩემს თა-მარსა და მასთან სიცოცხლესა!.. მე ვერ ავიტან ამ უბე-დურებას!.. ოჰ. სოფიო, რატომ თან არ მოიყვანე თა-მარი, ავამსო იგი ჩემის ცოდვით, გამოვიმგლოვოთ ერთმანეთი —ვიტიროთ და ვატიროთ!.. ტჳნი მერყევა, რა მაგონდება, რომ თამარს უნდა განმაშორონ.

შალვა ჩამოჯდა ტახტზედ დატკრთებული მწუხარებით.

—ჩჳენ მომზადებულნი ვიყავით მაგ უბედურებისათჳს, უთხრა სოფიომ. მე ყოველი გავიგონე და მოვახსენე თამარსა. მას მტკიცედ განუზრახების მოიხმაროს ყოვე-ლი ღონისძიება, რომ სულთანს არ მიჰსთხოვდეს, მას თჳთან უნდოდა თქჳენი ნახვა. მაგრამ ნაღველისაგან ხიცხე მიჰსცა. პირველს კეთილს შემთხვევაში გავაბედ-ვინებ აქ მოსვლასა, როდესაც სასახლეში დაიძინებენ. მაშინ დაარიგეთ, როგორც მოიქცეს.

—ო, სოფიო! დამდე კალად ეგ სიტყჳთ. მაჩჳენე კი-დევ თამარი; იქნება იმის ნახვამ განაღჳძოს ჩემში და-კარგული ძალა გონებისა და უშველოთ რამ ჩჳენს თავს საითმე. თორემ ჩჳენი იმედი ეხლა ბეწვზედა ჰკიდია.

—თქჳენი ივანე ყოველ ღამ აქ გამოგზავნეთ ხოლმე, რომ გაცნობოსთ, რა ღამესაც მოვალთ, უთხრა სოფიო-ომ, რომელიც ივანეს ხსენებაზედ გაწითლდა და თავი ძირს დაიხარა, თითქოს ამ სახელზედ ყოველთ წაიკით-ხუს მის გულში დაფარული საიდუმლო. მაგრამ შალვას

საკუთარი მწუხარება ისეთი არ იყო, რომ შეემცნევინების მისთჳს სხვის აღრეულება.—

—მე თჳთონ გავათენებ ყოველ ღამ აქა თქვენს ლოდინში, ჰსთქვა შალვამ: ვიდრე თამარს არა ვნახავ, ძილი არ მოუვა ჩემს თვალებს მოახსენე, სოფიო, თამარსა, რომ წინააღმდეგობას ჯერ ნურაფერს გაუწევს რუსუდანსა. თორემ იგი შეგიკრავსთ აქ მოსვლის გზასაცა, და მეთვალყურეთ არ მოგაშორებსთ.—

სოფიო და შალვა გამოვიდნენ დაღონებულნი და წავიდნენ თვითოვისად. თამარის წერილმა მოუმატა შალვას მცირედი იმედი და ამასთან ნაღველის შემსუბუქება.—რა შინ მივიდა, შალვამ დაწვრილებით უამბო ყოველი იმ დღის უბედურებითი შემთხვევება თავის ერთგულს ივანესა და დატუსაღებული სამძიმოს ფიქრებით მიწვა იგი და საჩქაროდ აღშფოთებულმა ძილმა შეიპყრა.

დღისით შალვა აღარ გამოდიოდა გარეზედ; მაგრამ ყოველ ღამეს იგი ჩვენის ცნობილის ბებრის ქოხში ათენებდა; ამ ბებერსაც სიხარულად მიაჩნდა შალვას იქ მისვლა, ამიტომ რომ გასვლის ჟამს დილით მას ტახტზედ უეცრად დარჩებოდა ხოლმე რამდენიმე დრახმი და დანგი, და როდესაც ბებერი მოაგონებდა მაიზედ, შალვა ეტყოდა: «ჩემთჳს სამიყლი აახთე და ღმერთს შემავედრე გულის წადილი აღმისრულოს.»—ბებერიც სიხარულით უსრულებდა ამ თხოვნასა.

ოთხი ღამე გაათენა შალვამ მოთმინებით თამარის მოსვლის ლოდინში; ხოლო გათენება მეხუთის ღამისა ეჩვენა მას გაგრძელებულად. მას ძილი გაუკრთა, შავმა

ფიქრებმა მოიცვეს იგი: მან წარმოიდგინა, რომ თამარს გაუგეს განზრახულება მასთან საიდუმლოდ მოსვლისა და შეუკრეს გზა; ამ გვარნი ფიქრნი არ ასვენებდნენ მას; ხან დგებოდა, ხან ჯდებოდა. ხან აღშფოთებით ზოლთასა ჰკრამდა და მცირედი ფეხის ხმაურება ქუჩაში დაამგვრებდა ხოლმე მას კარებისა.—უკვე გაათავეს მამლებმა პირველი ყივილი; უკვე მეორედაც მოჰყივნეს იგინი. შალვას ეგონა რომ აღარ გათენდებაო; უმეტესად უფრო ამაზედ უთრთოლებოდა გული, რომ ბებრის ცხვირიდგან სხვა და სხვა ანუზედ ამოდიოდა საშინელი ხვრინვის ხმა, რომელიც ჰსწყვეტდა ძაფებს მისის ფიქრისასა. შალვამ უკვე მიათვალა ეს მეხუთე ღამეც ფუჭად ჩავლილებსა, ვითარცა კარებმა მოიღო ჭრაჭუნი და ორნი ნაბდში გახვეულნი გვამნი შემოცვივდნენ ქოხში. ერთი მათგანი მიიღო შალვამ ტკბილს, გრძელს მოხვევნაში. თითქოს უნდოდა ამ ერთის მოხვევნით გამოსყიდიყო განვლილის დროის დანაკარგს ალერსსა. ვიდრე სოფიომ არ მოაგონა რომ ცოტა დროებაღა რჩებათ მათ გათენებამდის, მანამდისინ ბაგენი მათნი, თითქოს შეწებებულნი არ გაშორდნენ ერთი ერთსა. თამარი და შალვა ჩამოსხდნენ ერთად ტახტზედ აღშფოთებულნი, და ლაპარაკს ვერ ახერხებდნენ. მათ ეძ. ხოდათ ეკითხათ რამ ერთმანერთისათვის, დასასრულ შალვამ დასძრა სიტყვა.

—თამარ, თამარ! შენ რომ ჩემთვის დაგიჯერებინა და წამომყოლოდი მცხეთის ჯვარის დასაწერად და იქიდგანაც ახალციხეს, ეხლა მე და შენი ბედნიერება შეეცვლება

დი იქმნებოდა, და თუ გინდა ბოლოს გამოვჩენილიყა-ვით- მაინც ვეღარავინ შეიძლებდა ჩვენ დაშორებასა.
—მაშ მხოლოდ ორი გზაღა გვრჩება აღმოსარჩევლად: ანუ სიკვდილი, ანუ განშორება? ჰკითხა თამარმა მთრთოლვარის ხმით.

—ჩემმა ხვეწნამ და ცრემლმა ვერ აღძრეს დედა თქვენი რუსუდანი, ჰსთქვა აღმოხვრით შალვამ. იგი დახარის ტკბილს იმედსა, რომ ჩქარა შეიქმნას სიდედრი დიდის სულთნისა, და სრულებით არა ჰფიქრობს მასზედ საბედნიერო იქნება თუ საუბედურო თქვენი კავშირი მასთან. რასაკვირველია, ჩემს შემდეგ დედა გნახამდა და წარგვითხამდა დარიგების სამოციქულოსა?
—მაშინვე შემობძანდა, უთხრა თამარმა: შენს იქვე ყოფნაში, რა ორიოდე დედი ჩემისაგან ნათქვამთა სიტყვებმა მოახწიეს ჩემს ყურამდე, მე მაშინვე შემომფრინდა სისხლი თავში, გამაცია და გამაცხელა. მაშინვეჩავწექ მე ლოგინად და ყურის გდება თქვენის ლაპარაკის განგრძელებისა მივანდე სოფიოსა, რომელმაც არა დამიმალარა, რაც გაეგონა. შენის წამოსვლის შემდეგ რუსუდანი შემობძანდა ჩემთან. იგი საშინლად აღრეული იყო და ამაოდ ცდილობდა მიეცა თავის თავისთვის დამშვიდებითი სახე. ვატყობდი, რომ პირველს შემოსვლაზედვე მიპირებდა ყვედრებას, მაგრამ რა ლოგინში მნახა, თავი შეიმაგრა და მცირედ დაიმშვიდა გული.—ესრედ ადრე რათ დაწოლილხარო მკითხა მან, მე მოვახსენე მეყვსეულად შეუძლობლობა. მაშინ დედამ მაჯა დამიჭირა და მიბძანა: წეღან კარგად იყავ და ესრედ ანაზდა-

დად სიცხე რამ მოგცა; გჰსწუხვარ, რომ აქიმი აქ იყო და გავისტუმრეთ; საუცხოვო გამოცდილი ექიმია, საქმლად შალვა ეწოდება. ამ ხსენებაზედ დედის თვალები არა მშორდებოდნენ და თითქოს ცდილობდა იგი წაეკითხა ჩემი გულის მდგომარეობა.—მე ვიგრძენ, რომ რაღამაც ცხელმა ალმა დამწო სახე და საჩქაროდ ჩავუყავ თავი ლოგინში, რომელმაც დამალა რამდენიმე ჩუმად გარდმოცვენილი ჩემი ცრემლი.—მომილოცამს, ქალო შენი ბედნიერება, განაგრძელა დედამ დაცინვის ხმით: საქებური ნიჭი გქონია ქმრების ამორჩევისა. თუ რომ ჩუენს სახლობას არ მჰყოვნიდეო, მაგრამ ჩუენ უფრო განრჩევა გვიცით მათ ძებნაშიო, შენ ასეთი საქმე დაგიჭერია, რომელიც უმაგალითო არის საქართველოშიო, მაგრამ ბედი შენიო, რომ დროზედ შევიტყე, და ეს საიდუმლო სამთა შორის დაიმარხება საფლავამდეო; შენ ისევ გიბრუნდება თავისუფლება შალვას მხრითაო,—რომელსაც ფიცი ჩამოვართუო. ბიძა შენს გიორგი მეფეს სიტყუა მიუცია სულთნის გამოგზავნილის კაცისათჳს და დაჰპირებია შენს თავს ცოლადაო. ხოლო მეფეს სიტყუა არ გატყდება უომოდაო—მე არას უპასუხებდი, მხოლოდ ჩემი ტირილის ხმა ესმოდა დედას. შემდეგ რა გული დაუჯერა, რომ მე ველარას უწინააღმდეგებ, განაგრძელა ტკბილის ენით: იმედი მექმნებაო, რომ ამ მცირეს უსიამოვნებას გულში არ დაინერგამო და შენს ქმარს სულთანს გვიყოლიებ შემწედ, რადგანაც საქართველოს საჭიროება მოითხოვსო.—

მე მოვახსენე დედას, რომ სიცოცხლე ჩემი მას მოუნიჭებია ჩემთჳს, და შეუძლიან მსხუერპლად შეწიროს იგი

როცა მოინდომებს, მაგრამ ყიასდინ სულთანი თქუჱნ დიდხანს არ შეგრჩებათ სიმქთა, და კავშირი, რომელსაც ესრედ ბედნიერად რაცხამთ ჩემთჳს, წლის თავზედ შეგმოსავთ თალხითა მეთქი. ამიტომ რომ სიხარულის ნაცვლად აქ უდგას წავიღებ გულში სასიკჳდილოს წყლულსა რომელსაც ვერ გაკურნამენ ვერც იქაურნი დახელოვნებულნი მკურნალნი, ვერც დიდება სულთნის ცოლობისა მეთქი.—დედამ გაიცინა მაღლა დატანებით და მიბძანა: არა შვილო, მე დარწმუნებული ვარო, რომ რამდენსამე თთვის შემდეგ, რა მოგაგონდება ეხლანდელი ნათქუამმნი სიტყუჱბი, გაგაწითლებენო და მაშინ გუნებაში დამიმადლებ, რომ სრულ მკაცრად მოგექეცი შენის ბედნიერების დასამკჳდრებლადაო. განა მე არ მიმძის შენი იმ სიშორეზედ გასტუმრება, რომელიც, ვიდრე ცოცხალი ვარ, თუალს არ გამიშრობსო, მაგრამ მე ვჰსთმობ ყოველს ჩემს საამოვნებას შენისა და საქართველოს სარგებლობისათჳსაო! ა ა სიტყჳებით, მან მაკოცა და შევიდა თავის საწოლში.—მე თითქმის გათენებამდინ სიცხის ბოდვაში ვიყავი... მე არ შემიძლიან უთრთოლველად წარმოვიდგინო ფიქრი, რომ სხჳს ცოლი უნდა შევიქმნა. მე მოვიხმარებ ყოველ ღონის ძიებას ამ უბედურებისაგან გამოხსნისათჳს, მე განმიზრახამს ნიკოლოზ კათოლიკოზი მოვიხმაროთ ამაში შუამავლად დედასთან. მე თჳთონ მივალ მასთან და ყოველს მოვახსენებ; აუმსებ კალთებს ცრემლით...

—ეგ სულ ამაო იქმნება, უთხრა შალვამ; მაგის შეტყობინებით გაგიჩენთ მხოლოდ ერთს მეტს მოწამესა ჩუჱნის მოქმედებისასა. კათოლიკოზის თხოვნა მხო-

ლოდ უმეტესად განარისხებს რუსუდანსა; ან როგორ გაჰბედავს იგი იშუამდგომლოს ამ საქმეში! რას ეტყჳს? შალვას სიძობა ჴსჯობს საბერძნეთის სულთნის სიძობასაო?—ჩუენ თხოვნით ვეღარას გავაწყობთ. მე ვჰფიქრობ მოვახმაროთ კიდევ ერთი უკანასკნელი და სამძიმო ღონის ძიება, თუ ამანაც არ შეაბრკოლა რუსუდანი, მაშინ მას აღარა შეაბრკოლებსრა.

თამარი აღშფოთებით ელოდა შეეტყო ეს სამძიმო ღონისძიება.—შალვამ მას ყურში რაღაც წასჩურჩულა.

თამარი განცჳფრებით შეკრთა. გაწითლდა, თუმცა სიბნელე მალამდა მის სიწითლესა და უკან შეჰსდგა.

—ეგ არ შეიძლება! უთხრა თამარმა: მე ჩემს თავს სასიკუდილოდ კი გამოვიმეტებ და ამაზედ უმეტეს სამძიმო საკიცხავს საქმეს ვერ დავიჭერ.

—თამარ ნუ დაგავიწყდება შენი ნათქუამი სიტყუები: «მეფემაც რომ მითხოვოს, მე შენის მეტი ქმარი არავინ მინდაო» რით ამტკიცებ შენს სიტყვებს?..

—მართალია. მაგრამ ჯერ შეწყნარებული არავისგან არის ჩუენი კავშირი.

—მაშ ჩუენ მეტი აღარა გვრჩებარა სალაპარაკოდ, უთხრა ცივად შალვამ,—მაგრამ შიგნიდგან გული მისი მზათ იყო შუაზედ გასკეთქილიყო. მაშ ჴსჩანს რუსუდანმა არ მომატყუა, რა მითხრა, რომ თამარი უკვე ნანობსო თავის უგუნურ შემოხუეწულებაზედაო და ჴსწყევლის იმ უბედურს დღესაო, როდესაც მან ბეჭედი შეგიცვალაო.—ნეტავი ისევ მოტყუებული ვყოფილიყავ. მაშინ იმ ტკბილის იმედით მაინც მოვჰკუდებოდი, რომ ჩემთჳს ცრემლს გარდმოაგდებს ვინმე მეთქი... მეუგუ-

ნური, რატომ არა ვჰფიქრობდი, რომ მართლად ჩემსა, და სულთნის ცოლობაში განუზომელი სამძღვარი მქვს.—

—ოჰ, შალვავ! რა უსამართლოდ მაყვედრებ! უთხრა დამწვარის გულით თამარმა: ნუ თუ აქ, ამ დროს, შენმა სიყვარულმა არ გამომიტაცა? ნუ თუ მხოლოდ ჩემის უპატიურობით შემიძლიან დაგიმტკიცო სიყჳარული?

—როდესაც ჩუენ მაგის მეტი ღონისძიება აღარა გვრჩებარა ჩუენის თავების დასაცველად, ვგონებ არაფერმა არ უნდა შეგაბრკოლოს.—მაღაობა ჩუენ არ შეგვიძლიან; ნება ჩამოგვართვეს; მოთმინება, თხოვნა, ცრემლი ულმობელ ჰყოფენ რუსუდანის გულსა. სხუა რაღა ღონისძიება გვშთება ჩუენის სიცოცხლის დასაცველად?—

თამარი ირყეოდა

რა ეს შეამცნია, შალვამ უფრო მოუმატა მეთქველებსა, მერმე შალვა მიუბრუნდა სოფიოს.

—სოფიოჯანჩემი ივანე გაიმღერე და ერთი სასახლისაგან გაიარეთ, იქ ხომ არავის შეუმჩნევია თქუენი წამოსვლა.

—არა, არა! შეჰყვირა თამარმა, რომელსაც დაასხა ცივმა ოფლმა და თრთოლვამ აიტანა, ნუ წახვალთ, სოფიო! ერთად წავალთ!,

—რას ბძანებ, ქალბატონო! მოახსენა სოფიომ: როდესაც შალვა მოშორებული გყავს, მაშინ სულ წუწუნებთ და ბედს უჩივით, და ახლა, როცა გვერდით გიზის, მეშვით!.. ნეტავი მეც მაღირსოს ღმერთმა ქმარი, თორემ..

ბეჰური ტკბილად ხვრინავდა.—იგინიც ჩქარა განშორდნენ ერთმანეთს.

(განგრძელება შემდგომს ნუმეში იქმნება.

*
* *

ალექსანდრა გამიხელდა;
მომექცუშა, დამსცა ელდა.
ნეტავც, ვსცნობდე რას მიწყრება,
გული რისთვის აუღელდა?
შეუშურია შავსა ფიქრებს;
იშვნიერად ჩემზედ ჰფიქრებს.
ნეტავ, მამცნო, ამ გვარ ჭირებს
სად ტყობილობს? საიდგან ჰკრებს?
ვფიცავ გრძნობით ზე ნათელსა,
გეფიცებით ქვეყნათ ბნელსა,
არ ვსტყუებდე მკვლისა გზასა,
და არც სატრფოს ჩემსას მკვლისა!
მაშ რიღასთვის გამიხელდა,
მომექცუშა; დამსცა ელდა?
მითხრას მაინც: რას მიწყრება,
გული რისთვის აუღელდა?
მის მღერალის რათ მალონებს?
განა თვითონ არა ჰგონებს,
რომ მის ეშხით დათუთქული
ეს გული სხვას ველარ ჰმონებს?
ჰგონებს, მაგრამ არის ქალი!
მაშ სადღა აქვს სამართალი?

-იგი მხოლოდ თავსა იქცევს,
როცა ჩვენ გვწვავს ტრფობის ალი!
აი რისთჳს გამიხელდა,
მომექუშა, დამეცა ელდა!
ახლა ვიცი რათ მიწყრება,
გული რისთჳს აუღელდა!
მართლაც თუ აქვს ჩემგან წყენა,
არ კმარა ეს ჭირთა ჩენა?
ნუთუ ცოდვას ვერ გაჰბანდა
ესოდენი ცრემლთა-დენა?
აწ მაკმაროს მრისხანება!
ეს გული მას ემონება!
შემიბრალოს მისი მონა,
რომ ჰგლავაც შეჰსძლო თაყვანება.
ნუღა ქუშობს . . . შეისმინოს,
სატრფომ ტურფათ გამიცინოს
და ცრემლების მოსაშრობლათ
მისი ეშხი მომაფინოს!....
თორემ თუ კიდევ გახელდა,
რისხვით გული აუღელდა,
ანუ შემშლის უსაცილოთ
და ან მომკლავს მისგან ელდა.

აკ. წერეთელი.

## ჩემი სიამოვნება.

მშობელო არევ დიდი ხანია,
ვეღარ გიხილე შენ სანატრელი!

ვეღარ გიხილე სატრფო მხარე—
ჩემის გულისა გასახარელი!
შენ ჩემო არევ. გეტრფი დაგხარი,
შენის ხილვითა აწ მღვივს დამტკბარი!
შენ მშუენიერო ტურფად შემკულო
ჩემო დიდებავ და სიქადულო!
დამტკბარი გრძნობით. ტუჩებ მღიმარი,
გიძღვნი სალამსა შენი სტუმარი!
ამ წყლულსა გულსა აწ დავიმშჳდებ
გეალერსები და შენ გადიდებ!
აი! დავცქერი მე იმ ადგილსა,
სადაც მწურთნიდნენ ვით ყრმასა შჯულსა!
სრულად ვნუგეშობ სრულად დავსტკბები
ბედნიერ ვიყო, თუ აქ მოვკუდები!
საწუთო ესე მალიად ქრება.
სად არს ბოდბელი, სადღაა კრება!
სადღაა არიან ის მგალობელნი:
ლაზარე, საბა ან სიმონ მღუდელი!
აბა სადღაა ის ბერთა კრება,
ვეღარვის ვჰედავ, გული მიკუდება!
სად არს გიორგი ან ინოკენტი,
ვიგლოვ და ვსტირი რა ვჰყო მის მეტი!
სად არს დიონოს, ან გრიგოლ ბერი,
ანუ დანიელ, ზოტიკე მღუდელი!
ვეღარ მოვისმენთ ჩუენ მათისა ხმასა
ვეღარც გალობას, ვერც განანახსა!
მხოლოდ საფლავთა შიშველნი ქუანი,
ჰმოწმობენ, რომელ აქ მღუდელნი-ბერნი!
როგორც სიცოცხლით ერთთა ახმანი,

სიკჳდილითაც არიან ძმანი!
აი სასახლე! თითქოს ბუტბუტით,
როგორც რომ მუნჯი, თითქოს იმის ჴმით!
მე მანიშნებდა ვით მადლობელი,
რომ კჳალად ყვის მუნ წმინდა ბერი!
მას მიუწერდა გულით ქებასა,
რადგანც არ აკლებს ყურადღებასა!
ყოველი მისგან კჳალად ახლდება,
თუ შემწეობა არ მოაკლდება!
მაშ იმედის განეღოს კარი,
თუ დაჭყოვს აქა მამა მაკარი!
ამისი ღჳაწლი, ამისი შრომა
გამოაჩინოს იქნება დრომა...
ჰო დედაო! მუხლ მოდრეკილი,
შენს წმინდას საფლავს ვეამბორები!
ისე ვითარცა უძღები შვილი,
შენს წყალობასა ვემუდარები!
ტკბილო დედაო! ამ გალავანში,
შენს ფრთეთა ქჳეშე და შენს ტაძარში!
ასაფლავიან მღჳდელნი და ბერნი—
შენის წყალობის მსასოებულნი!
მათ ჩემზე აქჳნდათ ღჳაწლი ბევრ გვარი,
მე მათ განმიღეს ცხოვრების კარი!
შენ მეოხ ექმენ იესოს წინა
მათ განუსვენე წიაღთა შინა!—

დიმ. ბერიევი.

1862 წლის აპრილის 16 დღეს
ბოდბიეს წმინდის ნინას მონასტერი.

# საქართველოს მეფის გიორგი მეათცხრა-მეტის მეფობა.

## ა. მხედრობა თურქთა ზედა.

განხორციელებითგან ქრისტესსა წელსა **1789**-სა, მკათათუს (რომელ არს ივლისის თთუჱ) **9**-სა ქორონიკონსა მეათოთხმეტისა მოქცევისასა, ოუზ (ესე იგი **471**-სა, დღესა სამშაბათსა, ქართლსა შინა, ადგილსა საციციანოსა, დაბასა ქარელს, მოუხდეს მხედრობანი თურქთანი ახალციხის კერძოჲთ: მხედრობათა ამათ შინა თურქთასა ლეკნიცა იყვნეს შერთულნი. ესე ლაშქარი მტერთა იყო ფრიადი, ჭურ მათ თანა ბრძოლა, მცირედითა მხედრობითა მეფის ძმან დავით, ერთსა დღესა შინა სამ-გზის და სამგზისვე სძლო მათ, შეწევნითა ღუთისათა, და ძა-

ლითა სიჭაბუკისა თჳსისათა სრულიად აოტნა იგინი, მრავალნი მათგანნი მოსრნეს, და შეიპყრნეს: ესე იყო პირჳელი ძლევა შემოსილებაჲ მისი, მეფობასა შინა მამისა მისისასა, სრულიად ზემოთისა საქართჳელოჲსა, ქართლისა, კახეთისა, და სხჳათა მპყრობელისა ირაკლი მეორისასა.

ბ. ყარსსა ზედ მხედრობა.

მასვე წელსა, ღჳნობისთჳს (რომელ არს ოკტომბრის თვე) 16-სა, ბძანებითა მამისა თჳსისა მეფისა ირაკლი-სათა, ადგილნი იგი რომელნი უპყრესთა თურქთა საფა-შოსა შინა ყარსისასა, ინჯადარმ, ფალდრევანი, და ჯო-მუშლი, და სხჳანი, წარმოსტყუენნა სრულიად, და მცხოვ-რებნი მუნებურნი ტყუედ წარმოიყვანა. მიზეზისა ამისთჳს ვინაჲდგან ქურდნი და ავაზაკნი, რომელნიცა სამძღჳარსა ზედა ნაპირთა ადგილთა. ყარსის საფაშოსა მხრიდამ ავაზაკობდეს, სოფელთა მათ შინა იმალვოდეს იგინი, მცხოვრებნი მუნებურნი ჰსცჳდეს მათ სახლთა თჳსთა შინა. ხოლო უკუმობრუნებულსა მეფის ძეს დავითს დევ-ნა უყვეს ყოველთა ერთბამათ მხედრობითა, თურქთა და მცხოვრებთა, და მდევართა მათ მხედართა მძლევანნი იყვ-ნეს ალიბეგ ად მახმადბეგ, ძენი ცათურნისანი. ხოლო

იყვნეს იგინი მთავარნი მალაზბერთის ციხისა, და ყოველნი იგი გარემონი ადგილნი ჴელთა შინა მათთა იყვნეს: ესე მხედართ მძლევანნი თურქთანი იყვნეს კაცნი გამოცდილნი ბრძოლათა შინა, და ჰყვათ მათ, ვითარცა.

ათასნი კაცნი რჩეულნი თურქთა მჴედრობისაგან, და ყარსელთა. ხოლო მეფის ძესა დავითს ჰყვეს თჳს თანა მხოლოდ ათასი კაცი, და სხჳანი წინარე თჳსსა წარმოემართნეს საქართველოჲსა სამზღვარსა კერძო: ხოლო სცნა რა მეფის ძემან ვითარმედ დევნად მისსა მოისწრაფიან მჴედრობანი თურქთა, და ყარსელნი, და ყარაფაფახნი, მეფის უკუნ იქცა ათასითა მით რჩეულითა მჴედრობითა თჳსითა, და წინა მიეგება მდევართა თჳსთა უშიშითა გულითა. ხოლო იყვნეს მჴედრობანი მტერთანი რჩეულნი ძლიერნი. და ოდეს მიეახლა მათ, ეკვეთა მხნედ და ფიცხლად და მოკლა მეფის ძემან თოფითა თჳსითა სახელოვანი მჴედარი თურქთა, თიქსინელი, სახელით სანი: მაშინ მოუხდა მეფის ძესა სხჳსა უძლიერესი მისსა მჴედართ მძღვანი თურქთა იშიყბეგ. და სცა ეშმაკურის მეფის ძესა ძლიერად კრმლითა თჳსითა, და ვერარა ავნო მას. ვინაჲდგან მეფის ძესა, ჩოხასა ქუეშე ეცვა ჯაჭჳს პერანგი მოკლე: მაშინ განრისხებული მეფის ძე მიეხდა იშიყ-ბეგს, და ესრედ ძლიერად სცა კრმალი, რომელ, რომელსაც კბილსა შინა ეპყრა კრმალი ძლიერსა მას თურქსა მხრითურთ მისით სრულიად მოჰკვეთა მკლავი. და ესრედ მყისვე მოაკვდინა იგი: უკჳრდათ სიმხნე მისი ესე ვითარი არა მხოლოდ თუ ქართველთა, მტერნიცა განცჳფრებულ იყვნეს ამას ზედა: ხოლო ბრძოლასა ამას შინა დაეცა ცხენი მეფის ძე სალიასა შინა და დაქვეითდა .ხოლო ცხენი მისი ივლტოდა, და შეიპყრა ცხენი იგი გულმამად ძემან შარიფისამან სარვანელმან. მსახურმან მეფის ძისამან, და მოჰგჳარა მას, და

ვითარმედ მოუვანებადმდე ცხენისა მოერივნეს გარემო თურქნი მეფის ძესა, და სცემდეს კრმალთა აქეთ და იქით. რამეთუ იგი, საკჳრველისა სიმხნითა იგერებდა მათ, დაფარვიდა თავსა თჳსსა, და რაოდენიმე თურქნი შთამოუარნა ცხენით, ქჳტითმან, რომელნიმე მათგანნი დაკოდნა და აღსჯდა ცხენსავე თჳსსა კისკისად, და აღუზახნა სიმხნით მხედრობასა თჳსსა. და ეგვეთა ძლიერად თურქთა, და აოტნა იგინი: არამედ მოიკლნეს ბრძოლასა ამას შინა, წინაშე მეფის ძისა, ერთბამად ორნი ძმანი, გახელნი. თავადთა ძენი, გვარად ბებურიანნი, რომელნიცა დიდისა სიმხნით ბრძოდეს თურქთა, და რაოდენიმე ძლიერნი თურქთანი მოიკლნეს მათ მიერ: ხოლო თურქნი მრავალნი მოსწყჳტნეს და შეიპყრნეს მას დღესა შინა მხედრობამან მეფის ძისამან. და სდევნნეს იგინი ფრიად შორს ადგილსა მისგან, სადაცა პირველად ჰყვეს ბრძოლა ვიდრე ჟამადმდე მწუხრისა: და ესრეთ ძლიერად ძლევა შემოსილი მეფის ძე მოიქცა მხედრობითა თჳსითა, სიხარულითა დიდითა, პაპისა და მამისა მიმართ თჳსისა სამეფოსა ქალაქსა შინა ტფილისს. და ესრეთ იქმნა სიხარული მეფეთა მიერ, სიჭაბუკისა ასაკსა შინა ესრეთისა სიმხნისა ჩჳნებისათჳს შჳლისა მათისა.

მაშინ ფაშამან ყარსისამან შემნანებელმან შეცოდებასა თჳსსა ზედა წარმოავლინნა ჩინებულნი კაცნი თჳსნი ვედრებად მეფის მიმართ, და ითხოვა, რათა სულგძელებით შეუნდოს მეფემან წინარე მის ჟამისა შეცთომილებანი მისნი ქმნილნი მის მიერ სამზღუართა ზედა საქართველოჲსათა და ინებოს უკუნ ქცევად მცხოვრებთა და ტყვე

თა მათ, რომელნიცა წარმოეყვანათ მხედრობათა მეფის ძის დავითისთა, და ძღუ̂ენნიცა მდიდარნი წარმოეგზავნა მეფისათჳს. და მეფის ძის დავითის მიმართ ვედრება ყუო, რათამცა შუამდგომელ ექმნა წინაშე პაშისა თჳსისა ვინაჲდგან ძლევა შემოსილთა მართებს ძლეულთა ვედრებისა სმენაო. და შეწყალება მათი. ამისთჳს ვევედრები სიკეთესა ძლიერსა ჭაბუკობისა შენისასა, რათამცა სიმხნესავე ამას სამაგალითოსა შენსა თანა შეწყალებაჲცა ესე ზომივე გვაჩუ̂ენეო ჩუ̂ენ, ვითარცა მონათა თქუ̂ენთა ზედა. რომლისათჳსცა გყოფთ აღთქმასა უმაღლესობასა თქუ̂ენსა თანა: რათამცა ამიერიდგან არღარა რაჲმე წინააღმდეგ სამეფოჲსა თქუ̂ენისა ვყოთ ჩუ̂ენ, ანუ ჴელის ქუ̂ეშეთა ჩუ̂ენთა სხუასა რომელსამე ჟამსა.»

მაშინ შუა მდგომელ მეფის ძე დავით წინაშე პაპისა თჳსისა ფაშასა ყარსისასა, მეფემანცა მიჰმადლა მას და წარმოყვანილნი იგი მცხოვრენი ყარსის, საფაშოსანი. მიუქცივნეს მათვე. გარნა რომელნიმე ტყუ̂ეთაგანნი დაშთჱს მუნვე, რომელნიც აღიზარდნეს სახლთა შინა სამეფოთა და რომელნიმე მათგანნი არიან ცოცხალნი ვიდრე აქამომდე სამეფოსა სახლისა წევრთა თანა პატივისცემითა: ხოლო იხილა რა ფაშამან ყარსისამან ესე ვითარი მოწყალებაჲ მეფისა მის ზედა, და მიქცევა მცხოვრებთა საფაშოსა მისისათა. ფრიად მადლობდა მეფესა. და მიერიდგან გაკრძალულ ჰყვნა ყოველნივე ჴელისა ქუ̂ეშენი მისნი არა რაჲსამე წინა აღმდეგისა ყოფად მეფისა მიმართ ირაკლისა, და საქართუ̂ელოჲსა, გინა ერისა მიმართ მცხოვრებთა სამზღვართა მისთა ზედა.

## გ. ლეკთა მოსვლა.

წელსა 1800-სა ქრისტეს უკან (ქ. ი. 478): მარია- მობის თჳს (რ. ა. თვე აგვისტო) 1-სა დღესა ხუთშაბა- თსა, მოუხდა ლეკის ჯარი კახეთის ნაპირის ადგილს, და- ბასა თიანეთს: (*) მცხოვრებნი სოფლისა მის შეხიზნეს გარეთ სამუშაოდ მინდორთა და ტყეთა შინა იყვნეს წარსულნი, და რაოდენნიმე მათგანნი ტყვედ წარიყვანნეს.

მეფის ძე დავით იმ ჟამად თიანეთს იმყოფებოდა მცი- რედითა თჳსითა საკუთარის ამალითა, რომელსაცა ახლ- დეს მხნი რომელნიმე თავადთა და აზნაურთანი, და მსა- ხურთაგანნი. რომელნიცა მარადის განუშორებელად იმყო- ფებოდეს მასთანა. გარნა რჩეულნი, რაცხჳთ ვიდრე ასნი ოდენ: მით დევნა უყო უკანა ლეკთა მათ, ხოლო თია- ნელნიცა განვიდეს მეფის ძესა თანა, გარნა ვიდრე ასოცნი. და ვინაიდგან ადგილნი იგი არიან (2) მთიანნი, კლდიანნი, ტყიანნი, და იწრო გზიანნი, და მძიმე სავალ- ნი, რაოდენსაცა ადგილსა შესაძლებელ იყო ვლეს ცხე- ნითა, და მერმე დაუტევნეს ცხენი. და ვლეს ქუეითა, სისწრაფითა დიდითა. დაეწივნეს რომელნიცა უმოსწრა- ფეს იყვნეს ქვეითად სიარულსა შინა: დაეწივნეს რა თჳთ

---

(1) თიანეთი არის მთის ადგილი ზემო კერძო კახეთი- სა თავსა, ფშავზედ ახლოს. და რადგან ნაპირის სოფე- ლი არის, ლეკთა გზა ახლო არის მას ადგილსა.

(2) მთანი ადგილთა ამათ შეერთებულ და შეტყუებულ არიან კავკასიურთა მათ დიდთა მთათა.

მეფის ძე, და ასნი ოდენ სხჳანი კაცნი მისთანანი. ფრიად ფეხ-მარჯჳენნი, მხნენი, და მსწრაფელნი. ზედა მიმართეს ლეკთა მათ: თუმცაღა იყვნეს ლეკნი უმეტეს ოთხ ასთა, კაცნი მეომარნი და ბრძოლასა შინა გამოცდილნი; მაგ-რამ არა შეუშინდეს მეფის ძე და მის თანა მყოფნი, შეუტივეს ერთბამად სასტიკად, და აოტნეს ლეკნი იგი, უმეტესნი მათგანნი მოსწყჳტნეს და შეიპყრნეს, რომელ მცირედნიღა მათ ლეკთაგანნი მეოტ იქმნეს. ხოლო მყო-ფთა მათგანნი მეფის ძისა თანა ფრიად მცირედნი ვინმე დაიკოდნეს. და მოიღნეს ათნი ვიდრემე რიცხჳთ ოდენ და ყოველნი იგი ტყუენი რომელნიცა შეეპყრნეს ლეკ-თა სრულიად განთავისუფლნეს: და ესრეთ გამარჯჳებუ-ლნი მოიქცნეს თიანეთადვე, მხიარულებით, და მადლო-ბდეს ღმერთსა.

## დ. მეორედ მოსვლა ლეკთა.

ამავე წელსა **1790**-სა, ენკენისთჳს **8**-სა (რომელ არს სეკტემბერი), დიდსა ჯარსა ლეკთასა დაუხვდა პანკისის ხეობის გაღმოღმართ, არა დია შორს დაბისა მატნის ილტოს მდინარისა პირსა: მეფის ძეს დავითს მცირედი მხედრობითა ჰქონდა. ეს დღე ღჳთის მშობლის შობის დღე, სასწაული იყო, და დღე კჳრიაკე. ქართველთ ეს დღე დიდად მიაჩნიათ, უყვარსთ, ჰსვენ. და პატივს სცემენ: ამისთჳს მეფის ძემან უბძანა მის თანა მყოფთა. ყური მომიპყრობით, და ჩემი სიტყუა გულსმოდგინებით ისმი-ნეთო: დღეს თუმცა ვხედავთ ამ შემთხვეულებაში მომ-

შველელი ჯარ არ მოგვესწრება, და ჩჳჱნ დიახ ცოტანი ვართ, მაგრა ძველთავე ჩჳჱნ საქართველოს ერთა ჩჳჱულება ეს არის. თუ მტერს შეხჳდა კაცი, და ომი არა აუტეხა, და მტრის სიმრავლის შიშით მირიდა, იგი კაცი კაცად აღარ ვარგა. და აღარც კაჲ კაცად იხსენება, ვეღარც სახლსა და საზოგადოებაში გამოერევა. და საკელი ასე წაუხდება, რომ სიკჳდილი ურჩევნია კაცსა იმის თანას სიცოცხლესა: მეორედ ჩჳჱნი ასეთი დღე არის, რომ ამ დღეს მტრის შიში სრულიად არ უნდა გვქონდესო: თუმცა მტერნი ესე უმრავლეს ჩჳჱნსა არიან, ნუ ვშიშჳთ, ღმერთი დაგვიცვავსო, და მამულის სიყვარულისათჳს თავდადებული, და გულს მოდგინე ხიმხნეო. მე მიგიძღვებით, და გიჩჳჱნებთ იმათ ძალასა თუ ვითარ შემუსროს, ღჳთისა მიერის შეწევნითა:» მაშინ ერთ ხმობით ყოველთა აღუთქვეს თავისა მათისა შეწირვა ვიდრე უკანასკნელ სისხლთა წჳჱთადმდე: მხოლოდ სამასი ოდენ კაცა ახლდენ მეფის ძესა, რომელნიცა გულსმოდგინედ განემზადნეს ბრძოლად, და მიმართეს მტერთა მიმართ: ადგილნი იგი იყვნეს მთიანნი, ტყიანნი, და კლდიერნი: წინარე რაოდენთამე კაცითა, გასაჩხრეკლად ლეკის ჯარისა წარავლინა მატნელი ოანეზ, რაოდენთამე მატნელითა კაცითა: ესე ოანეზ იყო რჩეული ერთი გულოვანთაგანნი, ხოლო სამასნი ესე კაცნი მხედრობანი მეფის ძისანი, რომელნიცა იყვნეს პირველად ამალანი, აზნაურნი, და სხჳანი მეფის ძისანი, მეორე? მატნელნი რჩეულნი გულოვანნი, და მესამედ ახმეტელნი ჩინებულნი მამაცნი: ხოლო მხედართ მძღჳანი, შემდგომად მეფის

მისა, იყო მათ მხედრობათა თავადი თიანეთისა, და ფშა-
ვისა და ხევსურეთისა მოურავი ჩოლაყაშვილი დიმიტრი
ძე არაგჳსა განმგებელისა ქაიხოსროსი. და ესე მოურავი
დიმიტრი იყო დიდად სახელოვანი გაჲი კაცი, და გუ-
ლოვანი (რომელიცა, სიკეთისა მისისათჳს, იქმნა შემ-
დგომად სიძე მეფისა): მაშინ სამასნი ესე კაცნი, მხედ-
რობანი განჰკარგა მეფის ძემან წესითა მით, რომელიცა
მაშინ მუნ მყოფმან ალექსის ძმამან მოსცა მეფის ძესა.
კაცმან ბრძენმან, და ფილოსოფოსმან მძლავრმან მეფის
მის დავითისამან: ოდეს იგი მივიდეს წესიერად მხედრო-
ბანი მეფის ძისანი მტერთა მიმართ ადგილთა იწროთა
და ტყით გამო, და დაქუჶსვითებულთა დაუწყეს სროლაჲ,
და კჳმლი განდრიკნეს მტერთა სიმრავლე, რომელნიცა
იყვნეს კაცნი ვიდრე ათას ორასნი: მაშინ ანასდად მოა-
ხლნეს ადგილსა მას ათას შჳდასნი სხუანი მხედრობანი
ლეკთანი, რომელნიცა მომავალნი სახლით თჳთ მივიდო-
დეს განზრახჳთა მათითა, ქართლისა კერძო, რათამცა მუნ
ზედა დასხმა უყონ სოფელსა ქართლისასა, და მუნით
წარვიდნენ ტყუევებითა და ნატყუევნავითა აღვსილნი ახალ-
ციხედ. ისინი მოიწივნეს მახლობელ ბრძოლისა ამის და
ესმათ რაჲ კმაჲ ბრძოლისა და სროლანი თოფთანი,
და უკჳრდათ, და მიეცათცა შიში გულსა მათსა, და გა-
ნუზრახჳდეს ნუ უკუჱ აქა არიან მხედრობათა სიმრავლე
მეფისა და არა უწყოდენ მათ თუ რაჲ ქმნან.

მაშინ იპყრეს ლეკთა მათ მარცხენით კერძო გზაჲ
ადგილსა მის, სადა უკვე ებრძოდა მეფის ძე ლეკთა. იხი-
ლა რა მოახლოებაჲ ლეკთა მათ მხედრობისა გან-

მარტოებულმან მატრელმან იოანნეს, აუწყა ესე მეფის ძესა მსწრაფლიად. ხოლო მეფის ძემან, ყოვლითურთ უშიშრად და აუჩქარებლად განყო მხედრობაჲ თჳსი და ნახევარი მათგანნი მისცნა მხედართ მძღვანსა მოურავსა დიმიტრის, და იდუმალ მტერთა განმოაპარა იგინი უგა-ნა. და ვითარცა განაწყუნა მოძღვარმან მისმან დავით ალექსის ძემან, ესრეთ მთათა მათ, და მომაკვდათა მათ მხედრობათა ლეკთასა ესრეთი სახე უჩუენოს, რომელ ეგონოსთ მათ დიდი და ფრიადი მხედრობა: და სახითა ამით მიეცესთ მათ დაბრკოლებაა, რათამცა ვერღარა იკად-ნიერონ მოშველებად ლეკთა მათ მამართ, რომელთაცა ებრძოდა მეფის ძე. და იქმნაცა ესრეთ: რამეთუ ოდეს მომავალთა მათ ლეკთა იხილეს რომელ, წინარე გზისა მათისა რეცა აღსავსე არიან ყოველნი იგი გარემონი გორანი, ტყენი, და გზანი, ქუეყნითთა მიერ მებრძოლთა და ჰგონებდეს ვითარმედ ურიცხვნი არიან იგინი: ამას ზედა შიშნეულ იქმნეს, და ვერღარა იკადნიერეს მოახლე-ბად ადგილისა მის, სადაცა მეფის ძე ბრძოდა ლეკთა, რათამცა შეწე ექმნენ მათ და მაშინ იპყრეს მათ სხუა მხარი, და ესრეთ იწყეს მოგზაურობა თჳსი: ამას შინა განამხნო მეფის ძემან მხედრობაჲ თჳსი: პირუტყულად თჳთ მიუძღვა წინა, და მიიდევნა თანა მამაცნი და ყუ-ლოვანნი მისნი, მკვეთა ლეკთა ატაკითა, ძლეულ ჰყო ძლიერად ზედა დასხმულმან და აოტნა იგინი და იელ-ტოდეს, და ესრეთ შეშინეულ იქმნეს, რომელ ყოველნივე ნატყუევნავნი, და ტყუენი და ანუ რაჲცა აქუნდათ მათ, ყოველნივე დაჰყარნეს მუნ, და ესრეთ ივლტოდეს შეძრ-

წენებულნი, რომელ ლტოლვილნი ჰყრიდეს ურთიერთსა ფლატეთა ზედა მდინარისა ილტოსათა. რათამცა ერთი მეორესა წინა ესწრობდენმცა. და მოსწყდეს მათგანნი კაცი ვიდრე ხუთასადმდე, რომელთაცა სისხლმან შეღება სრულიად მდინარე ილტოდა. და ესრედ ივლტოდეს სირცხვილეულნი. და ურთიერთ არს, შიშისაგან, ვერღარა რაისამე შეეწეოდეს. არამედ ვინცა მათგანი განერა ყოველნივე თჳთოეულსა მხარესა ივლტოდიან თჳს თჳსად: ხოლო მეისვე შეუსვენებლად, მუნიდგან მოაქცია მეფის ძმამან მებრძოლნი მხედრობანი თჳსნი, და შემოკრიბნა განყოფილნიცა იგი თჳსნი ნახევარნი მხედრობანი და ქვეშეთა მიმავალთა იწროთა გზათა შინა სხჳსათა მათ ახლად მომავალთა ლეკთა ჯინჭარისა გზათა შინა და მეისვე აოტნა იგინი, და მრავალნი მათგანნი მოწყჳტნეს და შეიპყრნეს. და სხჳსათა დაჰყარნეს ტჳრთნი მათნი, და ეგრეთ სირცხვილეულნი უკუნ იქცეს, და ივლტოდეს თჳსთავე სამყოფთა შინა, სადითგანვე წარმოსულ იყვნეს იგინი: და საკჳრველ ესე არს, რომელ ესრეთ ღმერთმან დაიცვნა მხედრობანი მეფის მისანი, რომელ არცა ერთი კაცი არა მოჰკლდომიეს მეფის მისა, მხოლოდ ერთი შინა მსახური თჳსი დაეჭრა მცირედ და რაოდენიმე ახმეტელთა და მატნელთა მებრძოლთაგანნი, და მათგანნიცა არა მრავალნი. ხოლო მტერთა ორთავე მათგანნი დაიხოცნეს, და შეპყრობილ იქმნეს შჳდასზედ უმეტესნი კაცნი: ხოლო მოკლულთა მათ დაკვეთილნი ცხჳრნი წარგზავნნა მეფის ძმამან პაპასა თჳსსა, მეფესა ირაკლისთან ტფილისს, მკელისამებრ ჩჳეულებისა საქართჳელოჲსა

მხედრობათასა. რომლისათჳს განიხარა მეფემან, და ანიჭ-ნა მის ძესა თჳსსა, და მხედრობათა თჳსთა ღირსნი ჯილდონი.

### ქ. მესამე მხედრობა ლეკთა ზედა.

მასვე წელსა, გიორგობის თჳს 25-სა (რომელ არს ნოემბერი), ბძანებითა პაპისა თჳსისა, მეფისა ირაკლისა-თა მხედრობითა ხიზიყელთათა (1) განვიდა გაღმართ ალაზნის მდინარისა (2), დღესა სამშაბათსა, და ზედა დაესხა ლეკთა ჭარელთა და გარემოთა ადგილთა მისთა

---

(1) ხიზიყი, ანუ ქიზიყი არს ერთი ჩინებულთა პრო-ვინციათაგანი კახეთისა, რომელსა შინა მოსახლე ათი ათასთა სახლეულებათა მცხოვრებნი; ესენი არიან მხოლოდ ყმანი სამეფონი: არცა თავადთა, არცა აზნაურთა არა აქუნდა ნაწილი ყმათა ანუ მამულისა ამათ შორის: ესენი არიან სამხედროთა საქმეთა შინა ქებულნი და გულოვანნი, სრულიად ქუეყანისა მის მცხოვრებნი არიან თანასწორნი და უკეთუ თავადთაგანი, ანუ აზნაურთაგან ანუ წარჩინე-ბულთაგან სირათა მივალს ვინმე მათ შორის, და ნებავს მუნ მათ შორის დასახლებაჲ, ჯერ არს რათამცა თანა სწორ მცხოვრებთა ხიზიყისათა აღირიცხოს, და ეს ესრეთ მიიღებს საზოგადოება იგი მათი:

(2) ალაზნის მდინარესა დიდი ივერია უწოდების ძუელითა სახელითა.

ვინაჲდგან იგინი ოდესმე წინა აღმდეგად იქცეოდეს, ავაზაკობდეს, და ქურდობდეს მამულთა შინა სპარსთა ხიზიყისათა: მივიდა მათ ზედა მეფის ძე დავით და სოფელნი ფადრისა გარემოთა მისთა, და ბაისმალუ და გარემოთა მათ ადგილთა მსახლობელნი ლეკნი და ავაზაკნი, რომელნიცა ადრიდგანვე სახლობენ მუნ, დამთომილნი თათართა და თურქთაგან, და ეგრეთვე სხჳსათა და სხჳსათა ადგილთაგან ლტოლვილნი, იგინი სრულიად მოარბივნა, და წარსტყუევნა ავაზაკთა მათ დაბანი და სოფელნი, წარმოიხვნეს და ტყუენი მრავალნი, და მოიქცეს მუნით გამოსლვად მდინარესა ალაზნისასა, და ესრედ უკმე ქცევად ხიზიყადვე; ხოლო გამოსლვასა მას შინა მდინარისასა, სადაცა იყვნეს ფონნი: (ე. ი. გამოსავალნი მდინარისანა), უკუ კრნეს მტერთა ლეკთა, და გარემოსა მის ადგილისა კაცთა მეთოფართა ქჳწვითთა მაშინ განყვნა მეფის ძემან დავით მხედრობანი თჳსნი სამად ნაწილად. რათამცა ერთი ნაწილი მათი ვიდოდეს წინარე პირის პირ მოერთა მათ რომელთაცა შეეკრნეს გასავალნი გზანი მდინარისანი; მეწინავეთა მათ უწინამძღვრა ზაალ კუზიად ლედ სახელდებული, რომელნიცა ჩინებულთაგან თავადთა კახეთისათა- ანდრონიკოვიანთაგან გვარითა. და იყო იგი მოურავი მარტყოფისა, და ესე ზაალ იყო სახელოვანი, გულოვანი, და უწარჩინებულესად გამოცდილი სამხედროთა შინა საქმეთა.

მეორესა მწყობრსა უწინამძღვრა თავადი ანდრონიკაშჳლივე, მოურავი ხიზიყისა, და მხედართ მძლჳსანი ზაქარია. და ამა მწყობრსა შინა იყვნეს სრულიად სამძი-

შონი ნივთნი, ნატყუევნავნი, და ტყუენი.

ხოლო მესამესა მწყობრსა შინა იყო მეფისა მე დადგ-რა, და ჰყვეს თჳს თანა კაცნი რჩეულნი, და ხიზიყულთა მათ შორის რომელნიცა მეფის მისა თანა განუშორებ-ლად იმყოფებოდეს იყუნეს კაცნი ფრიად გამოცდილნი ბრძოლათა შინა, ჯალის, პოსნიამშვილი იოანე, და პატარა კაცი ასისთავი, და სხუანი გამოცდილნი და მამაცნი კაცნი.

ხოლო ლეკთაცა განყვნეს უწინარესვე მჴედრობანი თჳსნი სამად ნაწილად: ერთი ნაწილი მჴედრობისა მათი-სა წარუგზავნათ, სამი ათასჩვიდ უმეტესნი, კაცნი რჩეუ-ლნი, რომელნიცა შორს ზემოერ მის ადგილისაგან გო-რათა მათ შორის განსავალთა, რომელნიცა ალაზნის მდინარის პირისა აქვს ზეკით და ქვევით, შეღანებულნი შორად რომელსაცა უწოდებენ ყამჩაად, ჯართთგან. ანუ გარემოთაგან ადგილთასა სადაცა სახლობენ ლეკნი და ენისელნი: ოდესცა წამოვალს ხიზიყისა გერძოსა, ჯერ არს რათამცა პირველად გამოვიდეს ალაზნის მდინარესა და ოდეს გამოვალს მდინარესა, მეყსეუ მთანი და გორა-ნი არიან ყამებად სახელ დებულნი. ჯერ არს რათამცა განვლოს გორათა მათ შორის გზათა იწროთა და მთი-ერთა: გორანი იგი შეუკრნეს მათ ზემორე კსენებულთა ლეკთა მჴედრობამან.

მეორემან ნაწილმან ლეკთა მჴედრობისამან შეურნეს გამოსავალნი ალაზნის მდინარისანი. და ესენი იყვნეს კაცნი ორი ათასნი ქვეითნი მეთოფარნი.

ხოლო მესამემან ნაწილმან მჴედრობისამან ლეკნს

შეუჩნეს მეფის ძმას კაცთა ვიდრემდე ოთხი ათასთა: და მოუხლდნეს რა მხედრობასა მეფის ძისასა. და აღუმახნა ძრიელად მეფის ძმამან მხედრობისა თვისსა. და ჰკვეთა ფიცხლად. და სძლო მათ შეწევნითა ღმრთისათა, და აოტნა იგინი. და მრავალნი მათგანნი მოსწყვიდნეს, და მრავალი სირცხვილეულნი ლეკნი უკუნ აქცევნეს: მაშინ მეფის ძმამან დაატევნა მხედრობანი იგი თვისნი საშუალ მხედრობისა, სადაცა აქუნდეთ ნატყვევნასნი, ტყვენი, და საქონელნი. და საშინელი იგი შესვენებული მხედრობა დაადგინა უკანა, და უხანა მათ მოურავი ხიზიყისა, ზაქარია თავადი ანდრონიკეს შვილი მხედართ მძღვანი. რათუ სადმე, თუ ხადმე მხედრობამან ლეკთამან ჰქონ უკანით ზედა დასხმა, არა უტევნეს ამან. და თვით დაუოვნებულად, წარვიდა მხედრობისა მიმართ მეწინავეთა. და რა ჟამს მიიწია პირსა ალაზნისასა, ქაქვითნი და ზარბაზანნი დაადგინნა პირსა ზედა მდინარისასა. და თვით, რჩეულითა მხედრობითა, წარვიდა მოშორვებით მისსა, ქვემო კერძო ადგილისა მის სადაცა განსავალი მდინარისა აქუნდათ შეკრული ლეკთა განუმართა მას: და მუნ განაწყვნა ცხენოსანნი თვისნი, ცურვითა ცხენთათა მდინარესა: მაშინ იწყო ნაპირსა ზედა მდინარისასა მდგომთა მხედრობათა მეფის ძისათა ტყორცნად ზარბაზანთა და აგრეთვე ზედა დასხმა უჭყო მეფის ძმამან, მარჯვენითა კერძო, და განიდევნნა იგინი ადგილთა მათგან რომელნიცა ეპყრნეს ჭალათა შინა, და ტყვეთა ალაზნისათა: მაშინ განაწყვნა მხედრობანი თვისნი, და დაადგინნა სიმაგრეთა შინა ჭურჭლითნი, მდინარისა განსა

ვალთა, და ესრეთ მოუწოდა ყოველთავე მათ დაშთომილთა თჳსთა მხედრობათა, და განიყვანნა მდინარესა შინა სრულებით დაუვნებელად: მაშინ აღიყვანნა მეწინავენი მხედრობანი თჳსნი მეფის ძმამან. დასცა აქუნდათ მტერთა გზანი შეკრულნი გორათა და აღსავალთა ყაშებისათა მიუხუდა და ძლიერად დაესხა ფადრელთა, მუღანლოელთა და სხუათა მათ კაცთა მის ადგილისათა. და სძლო მათ, და იოტნა იგინი სრულიად. და მრავალნი მათგანნი მოწყვიტნეს, და სხუანი ივლტოდეს. და ესრეთ ძლევა შემოსილმან მეფის ძმამან განუხსნა გზაჲ მხედრობასა თჳსსა.

მაშინ განჰყვნა მხედრობანი თჳსნი ორად ნაწილად. ნახევარნი წარავლინნა წინა, რომელთა შორის იყვნეს სამძიმონი ნივთნი, და ნატყვევნავნი, და შეპყრობილნი ბრძოლასა შინა, და სამკჳდრებელთა ლეკთასა. და ნახევარ რჩეულნი მხედრობანი დაუტევნა თჳს თანა: ხოლო კვალადცა შეკრბა მხედრობა ლეკთა უმრავლეს პირველისა და დევნა უყვეს მეფის ძესა ყოველთა გარემო მის ადგილისა ერთა: მაშინ გამოუბრუნდა მათ მეფის ძე დავით ძლიერიდ მხედრობითა თჳსითა, და ძლიერად შებმა უყო მათ, თუმცა მტერნი იგი უმრავლესი იყვნეს. გარნა შეწევნითა ღუთისათა, და სიმხნითა მეფის ძისათა იძლივნეს მტერნი. და უკუნ იქცეს, და მრავალნი მათგანნი მოწყჳტნეს მხედრობათა მისთა, ესრეთ მიიქცეს მტარნი სირცხჳლეულნი. ხოლო მეფის ძე მოიქცა ქიზიყადვე, მშჳდობით, ყოველთა მხედრობითა, სახელოვანი: ხოლო იხილეს რა ძლიერებაჲ ესე მეფის ძისა

ჭარელთა და გარემოთა ადგილთა მისა მის კავკასიისათა მოსახლეთა ლეკთა, შიშნეულ იქმნეს ფრიად და მოვიდეს მეფისა მიმართ ირაკლისა. და ევედრნეს, წარსულთა დროთა შინა რაჲც აქუნდათ შეცოდეთა, მიტევებასა მისსა. და შემდგომად მისსა იყვნეს ყოვლითურთ განგრძელებულნი მორჩილებასა ქვეშე მეფისასა.

---

# მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ.

არა მგონია იყოს კაცი, რომელსაც არა ჰქონდეს ყურები დაცქჳეტილი და ენა გაჩარხული, რომ ან გაიგონოს, ან გადასცეს სხჳას ახალი, ცოცხალ-ცოცხალი რამ ამბავი, გინა იყოს სრულიად სიცრუე. ეს სენი სუფევს დედამიწაზედ კაცის დაბადებიდამ და კაცთან; მაგრამ ყველგან თანასწორათ არ მოქმედებს: ველურს და გაუნათლებელ ხალხს აგრე რიგათ არ სწყალობს, როგორათაც განათლებულსა, უკანასკნელსა შეეპარება გულდჯმლებში, სძლევს და იმონებს. ათინელთა თჳს ის დღე დაკარგული იყო, როდესაც ახალს ამბავს არ შეიტყობდნენ. რავდენიც ევროპა ნათლდება, იმდენი უფრო ეს სენიც მას უძლიერდება. ევროპიულნი აღარ დასჯერდნენ შინაურს ახალ ამბებსა; იმათ ასურვეს რომ მსწრაფლ, ყოველ დღე ცალკე დილით, ცალკე საღამოს შაეტყოთ ახალი, ამბები უცხო ქჳყნებისაცა, ამისათჳს მოიგონეს წიგნის ბეჭჳდა, და ახალ ამბების გადასაცემათ გაზეთები, რომელნიც დღითი დღე მრავლდებიან, და რომ გაზეთები დაუყოვნებლივ მიუვიდოდესთ, მოიგონეს კურიერები, ორთქლით მოსიარუ

ლე ხომალდები, რკინის გზები, შემდეგ ამასაც არ და-სჯერდნ: მოიგონეს ტელეგრაფი. რომელიც ათ მინუ-ტს მოგირბენინებს შორის ქჳეყნებიდამ ახალ ანბავსა. ნუ იფიქრებთ, პარიჟის და ლონდონის ბულვარებზე და ტროტრუარებზე ხალხი დადიოდეს ახალ ამბავის შეხა-ტყობლად. არა, იქ გუშინ საღამოს რაც მოხდა იციან დღეს დილით მანამ გამოვლენ კარზე, და რაც დღეს დი-ლით მოხდება, იციან დღესვე საღამოს გაზეთებით.

საქართჳელო არა ყოფილა ისე განათლებული, რო-გორათაც იყო უწინ ათინა და აწინდელ დროს არის ევროპა. მაგრამ კურთხეული ზემოხსენებული სენი (რო-დის გაძლიერდა ჩჳენში?—იქნება მეთორმეტე საუკუნი-დამ?!) შეჭპარვია ქართველების თირკმელებსაც და დაუ-მონებია ჩჳენი მამაპაპანი როგორათაც ათინელნი და ევროპიელნი.

ძჳელ დროს არ იყო—არცკი ეხლა, ჩჳენ შესარცხვე-ნელად, გახლავს გაზეთები; მაგრამ ქართველებს არა დროს არ მოკლებიათ ახალი ამბავი: უძებნიათ და უპოვნიათ. დაბეჭდილ გაზეთების მაგიერ იყო სიტყჳერი გაზეთები. ტფილისი, საქართველოს დედა ქალაქი გადასცემდა ყოველ მხარეს ახალ ამბებს; თჳთ ტფილისში გაიხმოდა ამბები სალაყბო მეიდნიდამ. აქ შეიყრებოდნენ, აქ შაიტყობდნენ ერთმანეთისაგან ქჳეყნის ოთხს კუთხეს ვინ როგორ იყო, სად რა მოხდა; თჳთქმის მეფის დარბაზის საპო-ლიტიკო საიდუმლოებსაცკი ნამდჳლებს თუ გადაკეთე-ბულებს გამოიტანდნენ, გამოიკჳლევდნენ, მოიწონებდნენ ანუ დაიწუნებდნენ. ეს ახალი ამბები და საიდუმლოები

გინა ყოფილიყვნენ სრულიად სიცრუე, თავს არავის ატკივებდნენ. ამიტომ რომ იმათი სინამდჳლეობა არ უნდოდა შეეტყოთ, არც საჭირო იყო: სურვილი მოი-გლეს, ახალი ამბები ხომ შეიტყეს, გათავდა, სინამდჳლე იმათი გამოჩნდებოდა თავის თავათ დროებით! სალაყბო-დამ გაიფინებოდა ახალი ამბავი მთელს ქალაქშია.. უნდა გენახათ როგორათაც იმავე დღეს, ანუ მეორე დღეს, დილით ადრე, მოხუცი დედაკაცი მიძვრებოდა მეზობ-ლისას ახალ ამბავის სათქმელად, როგორათაც მრუნდათ გაგონილს სიცრუეს, ანუ მართალს ამბავს, ენაწულია-ნებით დაწმახნავდა, გადაბრუნებდა, თავისით კიდევ დაუ-მატებდა და იტყოდა ასეთ სიცრუეს, რომელიც ჯერ არავის გაეგონა! ესეც კიდევ ახალი ამბავი!... ამ სახით, დაიბადებოდა ერთის ახალის ამბავიდამ მეორე, მეორედამ მესამე, მესამიდამ მეოთხე.... ხალხს გულითადი სურვი-ლი თჳთქმის ყოველდღე,ყოველ საათს უღსრულდებოდათ! ნუ განჰკიცხავთ წინაპართა: ჩუჱნ დროს საქართველოში, ნამეტნავად ტფილისში, უარესობაა! მაგრამ რათ გი-კჳრსთ ჩუჱნი! ევროპიის გაზეთები ყველას ასიამოვნებენ თუმცა აგრე რიგათ მართალს არ მოგითხრობენ.

აწინდელ ქართუჱლებს თუ არ გარდამეტებით, მამა-პაპათზედ ნაკლები არა სწყურისთ შეტყობა ახალ ამბე-ბისა. რა საცოდაობას ნახავთ, თუ გათენდა და დაღამდა იმ დღეს ქალმა ახალი ამბავი არ გაიგონა! თქუჱნ ნახავთ ქალს მოწყენილს, რომელიც დრტჳნავს ყმაწჳლ კაცებზედ ამიტომ, რომ არც ერთმა იმათგანმა ახალის ამბავით არ ასიამოვნა. რომელს სახლშიაც გნებავსთ მიბძანდით,

თქჳენ ნახავთ შემდეგ სცენას: მოვიზიტე ქალი მობძანდა ფაეტონით, კარგა ჩაცმული. შემდეგ მოკითხჳს, პირჳელი სიტყჳა იქმნება უთუოთ შესახებ ახალამბებისა: «ახალი ანბავი ხომ არ მოგხსენებიათრა?» ჰკითხავს სახლის პატრონი. «არა, თქჳენმა მზემ! გუშინდელი და დღევანდელი დღე, სწორეთ მოგახსენო, მოწყენილი გახლავარ!» რა უბედურობაა! ერთი ქართული გაზეთი არა გვაქჳს! მთელმა განათლებულმა ქჳეყანამ შეიგნო საჭიროება და სარგებლობა გაზეთისა, ჩჳენკი, ჩჳენ, არ იქნა ვერ შევიგნეთ!»

—არ მიეტევებათ, თქჳენმა სიცოცხლემ, უპასუხებს მოვიზიტე, ჩჳენს უმაწჳლდაცებსა! მაშ რისთჳს გავზარდეთ უმაღლეს სასწავლებლებში; რათ მოვითმინეთ მრავალი მწუხარება იმათის მოშორებით! უნაყოფო ხეები არიან! ლაპარაკი დიდ-დიდი აქჳსთ, საქმით კი ჩხირის გადაბრუნებაც არ შეუძლიანთ! ვინ უგუნური იტყჳს რომ ისინი არ იყჳნენ მეცნიერნი, მაგრამ რადგანაც უნაყოფოა იმათი მეცნიერება, ამიტომაც ხალხი ამბობს «ფერანტობის მეტი არა უსწავლიათრაო.»

—რას მიბძანებთ ქალო! შეუგებს სახლის პატრონი: გაზეთის გამოცემას ღონისძიება უნდა. განა არ მოგეხსენებათ ქართჳელის ჯიბე ყოველთჳს ცარიელია» «თქჳენ არ მამიგჳდეთ აგრე არ იყოს. თუკი უბრალო ნივთებისათჳს, ანუ ლოტოსათჳს გვაქჳს ფული, ნუთუ ხუთს მანათს ან ერთს თუმანსა, განა ორთუმანსაც ვერ მოვახერხებთ ჟურნალებისათჳს და გაზეთებისთჳს! არა. საზოგადოობა დამნაშავე არ არის; ჩჳენი ჭკჳაში მომფერინო

მცონარების მოყვარენი არიან დამნაშავე!»—აი, ახლა გამოგვიჩნდება, ქალო! ჭუუ. ავჭავაძე და კერესელიძე ცდილობენ კარგი ჟურნალები გამოსცენ- გნახავთ რავდენი კალის მომწერები ეყოლებათ! ორნივე უნდა შევიმაგროთ, თორემ თუ ერთ ერთი იმათგანი დაეცა,—დაეცემა უთუოთ ჩჳენის მიზეზით, მაშინ ქართული ლიტერატურა წარმატებას ველარ ჰპოებს»..,.

ეხლაცა, როგორც უწინ, უქონლობისგამო დაბეჭდილის გაზეთისა, ახალ ამბებს შავიტყობთ ხოლმე სიტყჳერის გაზეთით. ეს ამბები გამოიჩიკებიან ტფილისის ტოტრუარზედ; გამომჩეკნიც გახლავან ისინი, ვინც უფრო ხშირათ ბუდარაობენ მუნ, ესე იგი: ცრუ მეცნიერები, სულელ მეცნიერები, გამოუსვლელნი და იმათი ტაკიმასხარაები; ეს ხალხი სტკეპნის და სცჳეთავს ტროტრუარსა, ყურებს გაგიჭედს ყოველ გვარ სიცრუითა, ყოველ გვარ მკჳეხარაობითა, განკიცხჳთა, სხჳაზედ დაცინვითა, თუმცა თჳთონ არიან სასაცილო და ამას ვერა ხედვენ. ამათგან გაიგონებთ, ვითამც ევროპიიდამ მოსწერეს იმათ მსწავლულებმა ესე და ესე, გაიგეთ რომ თჳთონაც მსწავლულნი არიან და მსწავლულებთან მიწერმოწერა აქჳსთ; მეკი დაგარწმუნებთ, რომ არც ერთი მსწავლული არასა სწერს იმათ, როგორათაც მე არა მწერენ, არც იცნობენ, როგორათაც მე არ მიცნობენ და არც იმათი სახელი გაუგონიათ, როგორათაც ჩემი სახელი არ გაუგონიათ. მაგრამ ტროტრუარზედვე ნახავთ ჭკჳან და დარბაისელ ხალხსაცა, კარგა განვითარებულსა. ამათგან მრავალს ნამდჳლს ახალ ანბავს შაიტყობთ, მრა-

ვალს ისწავლით. იქვე ნახავთ ჩინოვნიკებს. ამათგან გაიგებთ სადრა მამხდარა, ვის რა უმოქმედია და რა უთქჳამს; გაიგებთ რომელ სასამართლოში როგორ გარდუწყუჳტიათ საქმე, სამართალიანათ თუ უსამართლოთ; შაიტყობთ ახალ გამოსულ სჯულებისა, მთავრობის განკარგულებასა, ჩინოვნიკების გამოცვლასა და განწესებასა. ტროტრუარზედ კიდევ ნახავთ სხჳა ხალხსაც-სხჳა და სხჳა კლოვნებისას, გარდა ახალ ამბებისა, ტროტუარზედ იცნობთ კაცს- ამიტომაც გირჩევ, მკითხველო, კჳრაში ერთხელ მაინც ორიოდე საათი დაჰყოთ ტროტუარზედ, და თუ გსურს ახალი ამბავი ჩქარა შაიტყოთ, უნდა გაისარჯნეთ და ყოველ დღე გაბძანდეთ ტროტუარისაკენ, თორემ, თუ შინ დარჩით, და ახალ ამბავის შემომტანიც არავინ გაგიჩნდა, თქჳენამდინ ახალი ამბავი გვიანღა მოახწევს.

სწორეთ ასე მამივიდა მე. ამის წინათ შამემთხვა გარემოება, რომელმაც ორიოდე დღე შინ დამამწყვდია შეუძლებლობის გამო გაზეთი «კავკაზი» არ მამდის; მეზობლებს შეეძლოთ ჩემ ტყვეობაში მოეხედათ ჩემთჳს და ახალის ამბებით ესიამოვნებინათ, მაგრამ ისინი მე არ მწყალობენ; არც მცნობებმა და მეგობრებმა მამხედეს. ქჳეყნისა არა ვიცოდირა და ვიყავ საცოდავ მდგომარეობაში. ბოლოს როგორც იყო ჩემს დამატყვევებელ გარემოებას თავი გამოვაცალე და გავემგზავრე ტროტუარისაკენ. გზაზედ შევხჳდი ორ პირსა. ამათ მიაქციეს ჩემი ყურადღება თავისზედ და ნამეტნავათ ტროტუარზე მყოფ ხალხზედ; იქამდინ მიმიზიდეს, რო ახალი ამბები

სრულიად დამავიწყეს და მე ვცდილობდი არც ერთი სიტყჳა, არც მოქმედება ამათი არ ამცდენოდა. აქ გადავსცემ მკითხჳელსა რაცა ვნახე და რაც გავიგონე ტროტუარზედ გარდა ახალ ამბებისა, რადგანც ეს ამბები მე გამიგონია, გინდეც დაძჳელდნენ.

## I.

## სივრცე საშუალ შტაფისა და ტროტუარისა.

ქალაქის ბიჭი, თექჳსმეტის წლისა, რომელსაც აცჳა დაგლეჯილი დიმიტრონის კაბა და უჭირავს მკლავით კალათა ლიმონებითა, აპელსინებითა, მიდის შტაფის წინ ტროტუარისაკენ და მღერის:

«ქალო ხაბარდიანო,
გაქჳს და გიხარიანო,
ხაბარდა რომ გაგიცვდება....»

აბა რას ვანბობ! ამის მთქმელს ასეკი არ უნდა ეთქო, აი როგორ უნდა ეთქო:

«ქალო ხაბარდიანო,
გაქჳს და გიხარიანო,
ქმარი თუმცა გიკოტრდება.
მაინც შენკი გელხინება!....»

საწყალი ქმრები ცოლების კელში! რა მებრალებიან! ცოლებსკი აინუმში არ მოსდით, ოღონცკი თჳთან იფრანტონ, რას დაზდევენ თუ ქმრები არ იფრანტებენ. მართლაც, ყველგან ქალები არიან, სულ ისინი ფრანტო-

ბენ, კაჭკაცებიკი ბანს უკან და კარს უკან. თუ სადმე არის შეყრილობა, იცოდეთ ქალების წვეულებაა. ვინ მიიწვია?—ქალმა. ხარჯი ვისია?—ქრმისა. თჳთან ქმარი სად არის?—ლაქიის თანამდებობას აღსრულებს, და ამბობს თავისს გულში: მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

ქალო ხაბარდიანო,
გაქჳს და გიხარიანო;
შენს ოჯახს დასცემ, დაამხობ,
გაჭრებკი ჯიბეს აუვსებ?»

აი თუ ვაჭრებს უხარიანთ! ვიანგარიშოთ: ოცი ათასი ქალი აღარ არის! ოცი ათ·სი ხაბარდა! ეს თქჳნი უკანასკნელი ექჳსი ათასი თუმანი; ახლა იანგარიშეთ ქინძისთავიდამ შოლოსაპოშკამდინ, ისიც რავდენიმე ჭალი—უჰ! ვინ დათვლის რავდენი ფული გროვდება! გაახარეთ ვაჭრებო! სურვილი თქჳნი აღგისრულდათ! მაიგეთ, აავსეთ სარდაფები ქარქვეტითა. კომბოსტოს წნილითა. ქალებმა კი არა, თქჳნ უნდა ილხინოთ. ილხინეთ და იმღერეთ:

«ქალო ხაბარდიანო
შენ ნუ გიხარიანო,
შენის ქმრის ნაწოვნადაგი
გადმოვიდა ჩემ ჯიბეში.»

ნასწავლი ფრანტი. (დაუახლოვდება ქალაქის ბიჭს.)

ბარაქალა. ჩემო სოსიკო, ბარაქალა! შენ მაინც თქჳ ჩჳენ რო არას გვათქმევინებენ. მხოლოთ ერთი რამ შეგცდა: გაჭკაცებიც ბევრი ფრანტობენ.

ქალაქის ბიჭი. ძალიან ცოტა. ათზე ანუ ოცზე მეტი არ მეგულება; მაგრამ ვსთქჳათ ასი, თუნდ ორასი, თუნდ

კიდევ სამასი.

ნასწავლი ფრანტი. მაგდენიკი არ იქნება,

ქალაქის ბიჭი. ვჰსთქუათ სამასი, თუმცა არც იმის მეოცედია; მაინც სად სამასი სად ოცი ათასი.

ნასწავლი ფრანტი. მართალია,—აბა, სოსიკო. პირობაზე როგორ ხარ? დღეს შეიძლება დავჴრივნეთ ტროტუარელებს? ბევრზე გულმოსული ვარ; მინდა დავანახვო ან თჳთან რანი ბძანდებიან და ან ხალხს როგორ მიაჩნიათ ისინი. დროა, პედანტებს, (*) ცრუ მსწავლულებს, ცრუ განათლებულებს პირბადე ავხადოთ. ვითამ ვის ატყუებენ! ჩუენ გვინდიან ნამდჳლი განათლებულები.

ქალაქის ბიჭი. მე რა ვარ, რა შემიძლიან, რა ვიცი.. .

ნასწავლი ფრანტი. მე ვჯერვარ შენს ბუნებითს ჭკუას. თუმცა პატარა ხარ, მაგრამ ჩემი სურვილია, რომ პატარებმაც ხან და ხან სთქუან რამე.

ქალაქის ბიჭი. დიდს ვალსა მდებთ, და მე უნდა მოგახსენო, ჩემი საქმე არ არის, ამიტომ არ არის ჩემი საქმე, რომ რიგიანს რასმე ვერ მოვახერხებ.

ნასწავლი ფრანტი. შენ საკბილოს კიდევ იპოვი. არა გაქუს გამბედაობა თორე .. გაბედე. შენ არა ხარ ხოლმე ამვლელს და ჩამამვლელს რომ გაჰკენწლამ.

ქალაქის ბიჭი. ახმახის ჯავრი მჭირს; დიდიხანია მინდა დავკეძგერო, მაგრამ ის სპილოა მე გოშია; მეშინიან.

---

(*) პედანტს ეტყჳან კაცსა, რომელიც თავისს თავზე ბევრსა ფიქრობს.

ნასწავლი ფრანტი. ნუ გეშინიან; ბუზსაც ვერავინ აგიფრენს: მე შენთანა ვარ.

ქალაქის ბიჭი. მითამ მე რა საჭირო ვარ, თქჳენ უფრო...

ნასწავლი ფრანტი. მე მინდა შენ იყო.

ქალაქის ბიჭი. როგორ და ვისით დავიწყო?

ნასწავლი ფრანტი. ვისიც ჭკუა არ მოგეწონოს, ისი აიგდე მასხარათ.

ქალაქის ბიჭი. ეგ ხომ ჩჳენი ხელობაა. ბატონი ბძანდებით, გაიხლები, ვეცდები ვემსახურო თქჳენ სურვილს.

ნასწავლი ფრანტი. ხოსიკო! ერთი მითხარი, ახმახის ჯავრი რათა გჭირს?

ქალაქის ბიჭი. ცეტია როგორც თხა; ქვებუდანია როგორც გჳელი; ბოროტია როგორც ყვავი; ბაქია როგორც კაჭკაჭი; ბევრს ფიქრობს თავის თავზე, გამოდისკი, რომ ისე მეცნიერია როგორც თუთიყუში.

ნასწავლი ფრანტი. გულმეცნიერი ყოფილხარ, ხოსიკო. ახმახი სწორეთ აგეთია. ამასთან, არ შეგინიშნავს როგორც ახმახი. როდესაც აედევნება რომელიმე მოდიდო გჳამსა აქათ იქით ხშირათ იცქიტება ხოლმე და ეძებს მცნობებს, რომელთაც უნდა დაენახოს და შური ჩაუგდოს, რომ ისი სეირნობს მაღალ შობილთან, ანუ აღმატებულთან? ისკი არ იცის უბედურმა, ხონთქართანაც რო იაროს, იმას მაშინაც კაცათ არავინ ჩააგდებს...

## II.

### პირჳელი სკამი ტროტუარზე.

სკამზედ სხედან ორი მეგრელი. მესამე მოდის ზევი-

დამ, რა დაინახვენ ერთმანეთს ორი მეგრელი წამოდგებიან, მიეგებებიან მომავალს, ჴელს ჩამოართმევენ, მაგრათ მოუჭერენ და დიდხანს რაც ძალი და ღონე აქჳსთ აქანქარებენ, სიცილით და მოუწყვეტელ თავის დაკვრით.

**1**-ი მეგრელი. ახხ! მოიი პოშტენნიე.

მე-**2** მეგრელი. ნაშიი ვამმმ პოშტენნიე.

მე-**3** მეგრელი. ახხხ! მოიიი პოშტენნიე; კაკკჰ ვაშიი ზდოროვიიე?

**1** მეგრელი. სლავა ბოღუ. კაკკჰ ვაშიი ზდოროვიე?

მე-**2** მეგრელი. ბლაგოდარუუ, ბრატტ. კაკკჰ ვაშიი ზდოროვიიე?

მე-**3** მეგრელი. პოო მილოოსტიი ბოჟიი იაკჰ ზდოროვვ!

მე-**2** მეგრელი. ნუუ, ბრატიიც, ვასილიი ვიი ზაროვიი?

**1** მეგრელი. ახხ, მოიი ლუბეზნიი, კაკკჰ პროვადიშშ ვრემა.

მე-**3** მეგრელი. ნიჩეღოო, ხორაშოო პროვადიმმ ვრემი. ა ვიი კაკკჰ პროვადიშ ვრემიი.

**1** მეგრელი. ტაკკ, არც კარგა არც ავათ.

მე-**2** მეგრელი. იაა ნემნოღაა ხორაშოო.

მე-**3** მეგრელი. (კარგა ხანს რაღასაც ფიქრობს და ძლივ მოიგონებს) ვიი ზაჩიმმ ნა ტროტუარრ, დელაა ნეტუუ ვამმ?

**1** მეგრელი. მოი ბარინნ პუშოლლ ნა კოჯორი.

მე-**3** მეგრელი. მოი ბარინნ და ადინნ ყენშინაა, უი, უი, უი, კაკკჰ ხორაშო ყენშინა! უშოლ ნა მარტკობბ.

მე-**3** მეგრელი. აა მოიი ბარინნ აბედილლ დომ და

ჟშოლდ... მინდორში, რუჟიი კოზმილდ, ხაჩიტტ... დახოცოს შწყრები.

1 მეგრელი. (მესამე მეგრელს) ტგოიი ბარინნ მნოლა, მნოლაა, გოლოვა მწყრები. ჭი, ჭი. ჭი!

მე-2 მეგრელი მოიი ბარინნ. პრავდა, ცეტია, მნეე შტოო! ყალოვანია მნნე ხოროშ, და ეშჩიე ხაზარაა.

მე-2 მეგრელი. აა მოიი ბარინნ ტაკოიი უმ-უმ-უმ.. მაგარია.

ქალაქის ბიჭი. უმაწყლებო, კარგი ლიმონები, აპელსინები, სპიჩკა.

მე-2 მეგრელი. (მოისხანებით) ნნენადა. (ქალაქის ბიჭი არ შორდება)

1 მეგრელი. შტოო ტებე ნნუჟნა. სსტუპაი. (ქალაქის ბიჭი უყურებს მათ დამცინელის სახით.)

მე-3 მეგრელი. აიდა, აიდა (კელს აუქნევს), სსტუპაი, სსტუპაი.

ქალაქის ბიჭი. ღმერთის გეფიცებით, თქვენ მაგიერ მე მრცხვენიან. ჯერ რუსული უნდა ისწავლოთ, მერე ილაპარაკოთ. თუ არა იოტის ოდენი არ იცითრა რუსული, და ხმა მაღლა, ტროტუარზე ღრიალებთ ასეთის უმგზავსოს რუსულის ენით, რომელიც, არ ვიტუჯ რუსებსა, მეცკი შემ სარავს.

მეორე მეგრელი. ახხ, ტიი პადლეც!

მესამე მეგრელი. (გამოუდგება საცემრათ) იაა ტებე დამმ; მაშენიკკ.

ქალაქის ბიჭი, (ამაყად დაუდგება) როგორ მეგიძლიან მცემო! გაბრუნდი, თავს პატივი დაიდე. წადით იქურ-

დეთ; რა თქჳენი საქმეა ტროტუარზე მუსაიფობა. (სამ ნივე მეგრელები მისცვივდებიან საცემრად.)

ნასწავლი ფრანტი. წყნარა წყნარა! ნუ ისჯებით....

## III.

## სივრცე საშუალ პირველის და მეორის სკამებისა.

რამდენიმე ყმაწჳლკაცები გაუვლიან ხარხარით პეტრე ურცხვამესა, რომელსაც შამოეყრება დავით დარბაისლოვი.

ურცხვამე. ჩემო დავით, ჩემო დავით!

დარბაისლოვი. რას მიბძანებ, ჩემო პეტრე.

ურცხვამე. რა დაგემართა, ისწავლე, ისწავლე, დაბერდა და ვერა ისწავლერა

დარბაისლოვი. რა გაეწყობა; უნდა ვიყო უსწავლელი.

ურცხვამე. მე იმას გეუბნები. რომ სიპატარითვე აქამდინ სწავლობდი და ვერ მიხჳდი ერთ საკჳრველს ადჳლ საშუალობასა, რომლით შეასრულებდი შენ სწავლას რამდენიმე დღეს.

დარბაისლოვი. ეგ რა საშუალობაა?

ურცხვამე ჴა, ჴა, ჴა! გამოიცანი.

დარბაისლოვი. ვერ გამოვიცნობ; გეტითაც რო თავში მცემო.

ურცხვამე. წჳერი გამოუშჳ და იმავ წამს გამეცნიერდები. ყოველივე გეცოდინება.

დარბაისლოვი. სრულიად არ მეყურება, რას ანბობ.

ურცხვაძე. მიუხდომელი რა არის აქა! წჳერი გამოუშჳ მეთქი, წჳერი ხომ იცი რაც არის; გამოშვებაც იცი რაც არის.

დარბაისლოვი. სიტყჳები მეუურება, მაგრამ ამ სიტყჳების აზრი ვერ შემიტყჳა. რაზე ამბობ მაგასა?

ურცხვაძე. ახლანდელი ყმაწჳლკაცები მიდიან პეტერბურგს, მიიხედვენ, მოიხედჳენ, წჳერს გამოუშვებენ და-წამოვლენ. ეს ის არის: სასწავლებელი დაასრულეს, ყვე-ლა ისწავლეს, გოგრა, სიბრძნით აივსეს! ჰა, ჰა, ჰა!

დარბაისლოვი. მაინც კიდევ არ მეუურება: წჳერს რო გამოუშვებენ მაშინ მეცნიერდებიან, თუ ჯერ სწავლო-ბენ, მერე, მოდის მიხედულობით წჳერს იშვებენ.

ურცხვაძე. დაბერებულხარ და ჭკუა დაგიკარგავს. თუ წჳერს გამოიშვებენ, ეგ ის არის, ყველა ისწავლეს, რა-დათ უნდათ შეასრულონ სწავლა.

დარბაისლოვი.. ჭოო, ჭოო! მაშ შენის სიტყჳთ თათ-აირები და ურიები სულ მსწავლულები არიან.

ურცხვაძე. მაინც კიდევ არ გეუურება ჩემი ირონია, რას გამოშტერებულხარ!

დარბაისლოვი. მართლა კი თავი ნუ მოგაქჳს; მესმის, კარგა მესმის, მაგრამ სწორე უნდა გითხრა, შენ სტყუი. ჩჳენი ყმაწჳლკაცები მისდევენ მხოლოთ მოდასა. ჩემ დროს ყველა იპარსავდა ულვაშებსა და წჳერსა; მეც ავ-ყევ სხჳასა და აი, როგორც მხედავ, ჩემ პირზე არც არის ულვაშები, არც ბაკენბარდები, არც წჳერი;—ასე დავეჩჳე და აღარც მინდა მივყვე მოდებსა. თჳთან შენ გადმოიტანე სასაცილო ბაკენბარდები, და ვერ მოგიპარ-

სავს, რადგანც დაჩუეულხარ, ან მიგაჩნია კარგ რამედ. მე და შენ ძუელ დროს ცნებებისანი ვართ, რუტინოსტები, უმაწჳლკაცებიკი ახლანდელის დროს ცნებებისა არიან. კიდევ გეტყჳ, წუერი მოდაა, და არა მგონია იმათ სწავლა იმოდენი არ მიეღოთ, რავდენიც ნიჭი აქუსთ; ამასავე გეტყჳ, რომ ჩუენზე ნაკლები სწავლა არ ექმნებათ

ურცხვაძე. ეხლა ის დროა, თუ რომ იმათ იცოდნენ მცირედი მაინცა უთუოთ დასწერდნენ რასმეს, ჯერ არა დაუწერიათრა; მაშასადამე არა იციანრა.

დარბაისლოვი. დამავიწყდა, რა ჰქჳან მაგ სილოგიზმხა?

ურცხვაძე. იწუნებ თუ ჩემ სილოგიზმსა! სწავლა საქმით უნდა დამტკიცდეს. აი რასა მწერენ გერმანიიდგან მსწავლულები: «მოხარულნი ვართო, რომ, უკანასკნელ საქართუელოშიც გამობრწყინდიო შენ (ესე იგი მე) და ანათებო დაბნელებულს აზიას მეცნიერების ბრწყინვალე სხივით. შენი (ესე იგი ჩემი) უკანასკნელი თხზულება... გამლევსო უფლებასა შეირაცხოვო (ესე იგი მე შევირაცხო) ევროპიის მეცნიერთა შორის.» ახლაც დაიწუნებ ჩემ სილოგიზმსა და ბაკემბარდებსა!!

დარბაისლოვი. ეგ რომელი მეცნიერები გწერენ?

ურცხვაძე. გოტლიბ შტერნი ფრანკფურტიდამ, იოდან კლეინ ფიხტე ბერლინიდამ და მარტინ შაბლაუზენ ლეიფციგიდამ.

დარბაისლოვი. ეხლანდელ გერმანიის გამოჩინებულ მსწავლულებს თჳთქმის ყველას ვიცნობ, და იმათ შორის არა ჰსჩანან შენგან მოხსენებული მეცნიერები!

(ურცხვაძე აილანძა).

ქალაქის ბიჭი. ბატონებო, კარგი ლიმონები, აპელსი-ნები, !-ჰაიჩკა.

ურცხვაძე. რას დაეხეტები ლიმონებით შე უმზგავსო, შე უგულურო, შე უზრდელო! ჭეშმარიტათ საზიზღარნი არიან გლეხები, რომელთაც იოტისოდენი ჭკუა არა გა-ქჳსთ. წადი იმუშავე, ტალახი ზილე და პური ისე ჭამე.

ქალაქის ბიჭი. გუშინ ერთმა ნასწავლმა ყმაწვილმა კა-ცმა მითხრა: ვიღაცა მეცნიერს (!!) უთქჳამს: «ღმერთმა წაართო კაცსა ჭეშმარიტება, რომელიც დაამ-სხვრია მრავალ ნაჭრად, და განაბნივა მთელს ქჳეყანათა-ზედ და უბძანა კაცსა. ეს ნაჭრები შეკრიბეო.» ამ ბასნების გამო მეცნიერები თურმე დაეხეტებიან ტყეში და ღრეში რომ იპოვონ ჭეშმარიტების ნამტვრევები. თუ ეს მართალია, სწორე უნდა მოგახსენოთ, მეცნიერე-ბი თჳთან ყოფილან ჭეშმარიტების ნამტვრევები და საჭიროა სხჳამ ისინი შეკრიბოს და ერთ ჭკუაზედ დააყენოს. ამ სიტყჳსთჳს ნუ გამიწყრებით: ერთი ჭეშ-მარიტების ნატეხთაგანი არის ისი, რომ მეცნიერმა უნდა შეიბრალოს, შეიყვაროს გლეხი კაცი, ასწავლოს მას, და არ დატუქსოს, არ გალანძღოს და არ შეურაცხჰყოს, როგორც მაგალითად, თქჳენ ეხლა ინებეთ.

(მირბის.)

შორიდამ მოისმის ღაღადისი, ტაშისკვრით:

«ბრავო, ბრავო, ბრავო!»...

## IV.

### მეორე სკამი.

სკამზე სხედან სამსახურში დაბერებულები და სამსახურიდამ გამოსულები: პაფნუტი პახომის ველიკოუმოვი და აპოლონ ტარასოვის ოსტროუმოვი. ორივე სუქან, გასქელებულან, სპირტით გაჟივებულან.—აივლიან რამდენიმე ყმაწვილ კაცები, ფრანტები.

ველიკოუმოვი. (ყმაწვილ კაცები რო გაივლიან) ხედავ, აპოლონ ტარასოვის, აზია როგორ გაიაოლდა!

ოსტროუმოვი. ვხედავ, ვხედავ, პაფნუტი პახომის, ოჰ, ვხედავ!

ველიკოუმოვი. ჩვენ რო გამოვედით რა ხალხი იყო, და ეხლა ხედავ რანი არიან!

ოსტროუმოვი. ვხედავ, პაფნუტი პახომის, ვხედავ, ოჰ ღმერთო ჩემო!

ველიკოუმოვი. რუსული ანდაზა იტყჳს: დათესს ხორბარლსა პური ამოვა.

ოსტროუმოვი. დიდი ჭეშმარიტებაა! ოჰ, ოჰ! ნამდჳლია ეგ ანდაზა! რომელმა ჭკუამ მოიგონა!

ველიკოუმოვი. ჩვენ. ჩვენ. მე და შენ, და რამდენიმე სხვათ, რომელნიც ჩვენთან გამოვიდნენ, და დავთესეთ პური და ამოვიდა პური.

ოსტროუმოვი. დიაღ, სწორეთ ეგრეა. ჩვენნი ღვაწლი არ დაშთა უნაყოფოდ.

ველიკოუმოვი. გახსოვს ჩვენ რო გამოვედით რანი

იყვნენ ქართველები!

ოსტროუმოვი. ძლიერ, ძლიერ მახსოვს! განაღა შეიძლება არ დამახსოვდეს!

ველიკოუმოვი. ეხლა, ეხლანდელი ყმაწჳლკაცები შეადარე ძჳჱლებთან—ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ვრცელი სივრცე ძევს მათ შორის!

ოსტროუმოვი. დიაღ ვრცელი, დიაღ დიდი, გაუზომელი, უფსკრული!

ველიკოუმოვი. ჩჳჱნ რო გადმოვედით წერა, კითხვა არავინ იცოდა, ეხლა, ეხლა? ფრანციცულსაცკი კითხულობენ, ფრანციცულათ ლაპარაკობენ. ტანცაობენ, ტლინკაობენ, ცხოვრებენ, იცმენ, ჭამენ, წჳჱრსაცკი იშვებენ.

ოსტროუმოვი. სჯულები? სჯულები ვინ იცოდა! ეხლა კი, მიიხედე-მოიხედე, ყველა ქუჩის ბიჭმაცკი იცის სჯულები.

ველიკოუმოვი. ახლა თქჳ არზის წერა, ჩჳჱნ ბანს უკან და კარს უკან. არ დაიჯერებ. ჩჳჱნ დაწერილს ადარავინ ენდობა, არცკი მოსწონთ ჩჳჱნი დაწერილი არზები!

ოსტროუმოვი. ოჰ. უჰმადლო, წყეული აზია!

ველიკოუმოვი. ჩჳჱნ რო არ გადმოვსულვიყავით, განა ასე განათლდებოდა აზია!

ოსტროუმოვი. ბარბაროზათ დარჩებოდნენ!

ველიკოუმოვი. ეგ დიახ მახჳლ გონებიანათა თქჳთ აპოლონ ტარასოვიჩ! დიაღ, ბარბაროზათ დარჩებოდნენ. მაგრამ ჩჳჱნ დათესილში მაინც კიდევ ძჳჱლი ღვარძლი ვერ ამოვარდა. აზია ისევ სჭამს კლდით, ბოზაბაშსა

სჭამენ ყელით, ხაშსა, ბარბაროზულ საჭმელსა—სჭამენ ყელით, ფლავს სჭამენ ყელით, შემწვარს სჭამენ ყელით, ყველას ყელით სჭამენ.

ოსტროუმოვი. ეგ ის არის, რომ აზიას ჯერ გემოვნება არ გახსნია. ოჰ, ჩუენი მჩი, ბორშჩი, ქაშა, სალიანკა, ვინიგრეტი! აი სულელი აზია! ევროპიის გემოვნებას ვერ შეეჩვა!

ველიკოუმოვი, იმათი ქალები უფრო განათლდნენ. სიტყუას არ იტყჳან, რომ რუსული არ შეჩხირონ; აღარც სცხვენიანთ, აღარც მორიდება აქუსთ; სწორედ როგორც ჩუენი ქალები ისე იქცევიან და ბედნიერად, განათლებულად ხადიან თავიანთ თავს, რომ ისე იქცევიან.

ოსტროუმოვი. სულაც ჩუენა ვართ ამათი განმანათლებელი.

ველიკოუმოვი.. ჩემი მშობელი ქუეყანა დაუტევე და შევსწირე ჩემი ცხოვრება აზიასა, გამენათლებინა.

ოსტროუმოვი. ეხლაც იმიტომ არ მივდივართ ჩუენ მშობელ ქუეყანაში, რომ შევიმაგროთ აქ განათლება.

ქალაქის ბიჭი. ხარომში ლიმონი, აპელსინი, სპიჩკი, გოსპოდა!

ოსტროუმოვი და ველიკოუმოვი. უბირაისი, დურაკ!

ქალაქის ბიჭი. (მღერით მიდის) სხუათა მაზიარებელი მოკუდა თჳთან უზიარებელი!....

## V.

### სივრცე საშუალ მეორის და მესამისა სკამებისა.

აკსინია, გალოთებული ბებერი დედაკაცი, პაპიროზს სწევს, თამაშობს და იმღერის:

**Ай люли, ай люли...**

ტრატა—ტრატა, ტრატატა....

ქალაქის ბიჭი გაუთამაშებს სიმღერით:

**Ай люли. ай люли...**

ტრატატა, ტრატატა...

(თამაშობა და სიმღერა კარგა ხანს გაგრძელდება ორივეს მხრით)

აკსინია. ახ, ტი აზია, ღლუპაია აზია, ბეზმოზგლაია აზია!

ქალაქის ბიჭი. ახ, ტი მოია პრეკრასნაია აკსინია! გაკ ტი ხოროშა, კაკ ტი მილა!

აკსინია. ტრატატა, ტრატატა!...

ქალაქის ბიჭი. ტრატატა ტრატატა!...

აკსინია. ცავიდეთ დუკანში,

ქალაქის ბიჭი. რათა?

აკსინია. დავლიოთ. ფული გაქჳს?

ქალაქის ბიჭი. რა დროს დუქანია, ვითამაშოთ.

აკსინია. რატატა, რატატა...

ქალაქის ბიჭი. რატატა რატატა...

აკსინია. მილაშკა!

ქალაქის ბიჭი. გოლუბუშკა.

აკსინია. ცადი, აზია?

ქალაქის ბიჭი. შენ იცი სადაც ბუდარაობენ თეთრი დათვები?

აკსინია. არ ვიცი შენ ქართული ხარ?

ქალაქის ბიჭი. იცი, იცი.

აკსინია. ნუ ვიცი; ჩტოჟ?

ქალაქის ბიჭი. როგორი ხალხია თეთრი დათვები?

აკსინია. ცადი ტყეში, იქ ნახამ. ტრატატა, ტრატატა..

ქალაქის ბიჭი. ჩუჲნ ტყეში არ არის. ტრატატა, ტრატატა...

აკსინია. ჩუჲნ რუსეთშია ბევრი. ტრატატა, ტრატატა.

ქალაქის ბიჭი. ბევრი უნდა იყოს. თამაშობა იციან? ტრატატა ტრატატა.

აკსინია. მოლჩი, პოდლაია, აზია, ტრატატა, ტრატატა...

ქალაქის ბიჭი. ჭკჳანები არიან? ტრატატა, ტრატატა..

აკსინია. ტრატატა, ტრატატა, ლიმონი, აპელსინი მამე.

ქალაქის ბიჭი. ტრატატა ტრატატა... (მიდის,)

## VI.

## მესამე სკამი.

წითელ გარატნიკიანი კაცი და შავ გარატნიკიანი კაცი სხედან სკამზე.

შავ გარატნიკიანი. (იეზუიტურ ღიმილით) ეგ. რასაც

თქჳენ თხოულობთ, სრულიად შეუძლებელია.

წითელ კარატნიკიანი. შეუძლებელი არა არისრა; თქჳენ კი მოინდომეთ და შეუძლებელი შეიქმნება, შესაძლებელი.

შავ კარატნიკიანი. რავქნა. იოტის ოდენი სიმართლე არ მიგიძღჳსთ.

წითელ კარატნიკიანი. მე ასე მსურს და კიდეც უნდა აღსრულდეს.

შავ კარატნიკიანი. ახირებული სურვილია! ახირებული თხოვნაა!

წითელ კარატნიკიანი. ასეთია ჩემი ხასიათი.. უთუოთ უნდა მოახერხოთ.

შავ კარატნიკიანი. როგორ და რომლის მიზეზით?

წითელ კარატნიკიანი. მიზეზი მე მიჩჳენებია.

შავ კარატნიკიანი. თქჳენ მიზეზს არა აქჳს საფუძჳელი. სჯული, სჳნიდისი და სიმართლე არიან იმ საწყალებისაკენ. ანკი რას ემართლები იმ საცოდავ ხალხს!

წითელ კარატნიკიანი. სიმართლეზე და სიბრალულზე ნურას მეუბნებით: მაგით გულს ვერ დამირბილებთ, რასაც განვიზრახავ აღვასრულებ, თუნდ ქჳეყანა ზედ მამადგეს და ესრეთ თქჳენც უნდა მოიდრიკნეთ ჩემ მხარეს: თქჳენზე ბევრია დამოკიდებული.

შავ კარატნიკიანი. მარტო მე რა შემძლიან!

წითელ კარატნიკიანი. სხჳანი დაჭერილი მყვანან. თქჳენღა ხართ ჩემი წინააღმდეგი.

შავ კარატნიკიანი. გმადლობთ. თქჳენი ასეთი პატივის მცემელი ვარ, რომ სიხარულით გადმოვდივარ თქჳენ მხარეს.

წითელ ვარატნიკიანი. გმადლობთ. ახლა მიბძანეთ: როგორ გწადიანთ იმოქმედოთ ამ საქმეში.

შავ ვარ-ტნიკიანი. ეგ მე ვიცი.

წითელ ვარატნიკიანი. მეც მინდა ვიცოდე.

შავ ვარატნიკიანი. საქმის კარებსა და ფანჯრებს ამოვჭოლამ, დავაბნელებ, მერმე ჩრდილოეთის მხრით ერთ პატარა სანათურს გამოვაღებ და გარწმუნებთ თქჳენ, რომ საქმე ისე გაივლის, როგორც თქჳენ გნებავსთ.

წითელ ვარატნიკიანი. თუ აგრე არა იქთ, მე დაგარწმუნებთ, მაგ მშჳენიერ პირბადეს აგხდი, და ქჳეყანას დავანახვებ თქჳენს მომურულ პირისახეს.

შავ ვარატნიკიანი სარწმუნო ბძანდებოდეთ, ერთგული მონა და მოსამსახური გახლავარ თქჳენი, და თქჳენ ჩემის მხრით დიდი შემწეობა გექმნებათ ყოველ საქმეში.

წითელ ვარატნიკიანი მშჳდობით. (მიდის.)

შავ ვარატნიკიანი. მშჳდობით. ეს რა ჯანაბას გადავეკიდე! მაგის ოხტიდამ ვინ მოვა! მაგრამ ამასაცკი ვიქ. საქმეს მე გაუკეთებ, სხჳასკი წავახდენინებ.

ქალაქის ბიჭი. (მისძახის იმათ) ჩოჩეთს გალის დასცემია ეხლა აშენდა ჩოჩეთი!...

## VII.

## სივრცე საშუალ მესამისა და მეოთხის სცამებისა.

ახმახი. (მაღალი უწჳერულვაშო კაცი; მხრებს სიარულში აქათ იქით იქნევს; სათვალეებიან კაცს გაცხარებული

ელაპარაკება.)

ახმახი... შენ არ მამიკვდე, ერთი საათი ოცდაოთხს საათში არა მქონდეს არც მოსვენება, არც მოცალება, ასე გასინჯე დრო ვერ მიპოვნია წიგნი წავიკითხო, ლამის უკან დავრჩე ლიტერატურაში.

სათვალებიანი შენ რომელს ლიტერატურას უფრო ეწყობი: რუსულსა, ფრანციცულსა, ანგლიურსა, ნემეცურსა, თუ ქართულსა?

ახმახი. რუსულსა...

სათვალებიანი. (იქით) სტყუის.

ახმახი ფრანციცულსა, ნემეცურსა და ლათინურსა...

სათვალებიანი. (იქით) სტყუის

ახმახი. ნემეცურსა და ანგლიურსა, აგრე რიგათ არა გსწყალობ, ამიტომ რომ ეს ენები არ მემწონება..

სათვალებიანი. (იქით) ანბანიც არ იცის.

ახმახი. ქართული ლიტერატურა ვის ეკადრება, განა არისკი სადმე!

სათვალებიანი. (იქით) ბაშყადონიმ ბიჭო!

ახმახი. ასე ჩემო ანდრია...

სათვალებიანი. (მკლებრ.) ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ყოფილხარ! ლიტერატურაზე უკან დარჩესა—ოჰ, სიკვ-დილია მსწავლულ კაცისათჳს?

ახმახი. (მინაზებულის ხმით, რომელიც არ უხდება, როგორს ვირს უნაგირი.) ლიტერატურაში ძლიერა ვარ დაკელოვნებული, ასე რომ წინ ვერ წამივა, მაგრამ... მახლას, ვთქვი რაღა, სიტყუამ მოიტანა.

სათვალებიანი. შენ გექნება ბევრი საკუთარი თხზუ-

ლებაები. რომელ ენაზე გაქჳს?

ახმახი. ჯერეთ არა დამიწყრიარა, მაგრამ გულშიგი მაქჳს დაწერილი. ოცდათისი იდეა ირევა როგორც ჭიანჭველა, ჩემ თავში, ერთი ერთმანეთზე უკეთესი. და დაწყევლოს ღმერთმა, არ ვიცი რომელ ერთს წავავლო ხელი. ამასთან მოუცლელობა ხელს მიკრავს.

სათვალებიანი. მაშ დრო სრულიად არა გქონია, როგორც გეტყობა.

ახმახი. მეც მაგას ვჩივი. წარმოიდგინე რაღა დრო დამრჩება შრომისათჳს: მისი მაღალ.... ქ... მისი... ი... მისი ბრწ.. დ... მისი მაღალ... ზ.. მისი მაღალ მობილება უ... მისი.. და სხჳანი გამიწყრებიან. შემომწყრებიან, თითქმის გამლანძღვენ ხოლმე, თუ ან დილით, ან სადამოს ვიზიტი არ გაუკეთო და სადილათ არ ეწვიე, როდესაც დამპატიჟებენ. დღეს სადილათ ვიყავ მიწვეული მისს მაღალ. ი. ქ... მაგრამ, ჩემ საუბედუროთ, ვერ ვეწვიე: ამიტომ რომ დილით ადრე ვიყავი ვიზიტად მისს ალმ... რ... და ამან სადილათ აღარ გამიშვა. ეს არის ეხლა ძლივ თავი დავაღწიე; დილას აქეთ იმასთან დროს ვატარებდი. მისი მაღალ... ქ.. ვინ იცის რა ხმით მიწყრება!

სათვალებიანი. ეგ ხალხი რომელიც ჩამოსთვალე, მსწავლულია და ელტოვის მსწავლულებს. გასაკჳრველი არ არის, რომ შენც მოგიხიბლავს და მიგიზიდავს ისა.

ახმახი. არ დაიჯერებ, თავისუფლობა მირჩევნია იმათთან ყოფნას.

სათვალებიანი. ბულბულსაც ურჩევნია თავისუფლება;

მაგრამ თუ დაიჭირეს და ყაფაზაში შეამწყვდიეს, მეტი ღონე აღარ არის, უნდა დამორჩილდეს პატრონსა. ნებავს, თუ არა ნებავს უნდა იგალობოს: გალობისათჳს უყვარსთ და სტანჯვენ ბულბულსა.

ახმახი. მეკი გვერდებში გამიჯდა.

სათვალებიანი. მაინც რას აკეთებ დიდკაცებთან.

ახმახი. მკითხვენ რჩევას, ესა და ეს საქმე როგორ საჯობია გადაწყდესო, ესა და ეს პროეკტი როგორიაო, ანუ მამცემენ საგანს, რომელზედაც პროეკტი უნდა შაგადგინო.

სათვალებიანი. მაშ გეტყობა შენ ბევრი შეგეძლება: ბევრს გააბედნიერებ, ბევრს გააუბედურებ.

ახმახი. ღუთის წყალობა გაქვს, ბევრი გავაბედნიერე.

სათვალებიანი. ბევრიც უსამართლოთ გააუბედურებინე.

ახმახი. (თავმოწონებით) არ იქნება, შემთხვევით უნდა ისარგებლოს კაცმა.

სათვალებიანი. (ხმას გამოიცვლის) განა თავიც მოგწონს, მაშ შენი თავი არ გაგიცვნია აქამდისინ! რაღა ჯანაბა გისწავლია! მაგრამ ჯანაბაში ხარ გაზდილი, და რასაკჳრველია ქჩუწუნისა არა გეცოდინებარა!

(შამოხვდებათ ტარაბორევსკი.)

ტარაბორევსკი. (ახმახს) მე შენზე ვარ გაჯავრებული. ყოველდღე ათ საათზე დილით სამსახურითგან იკარგები, და შენ საქმეს ჩუჱნ ვაკეთებთ.

ახმახი. განა არ იცი მე მთხოვენ ხოლმე... დღესაც გიყავ ათსაათიდამ აქამომდე მისს... რ...

ტარაბორევსკი. რავქნა, ძმაო, მე არა მჯერა, ერთმა

ჩუენთაგანმა დღეს იმ გვამთან არა გნახა შენ... (მიდის. (შემოხუდებათ მარად ტროტრუარზედ მყოფი.)

მარად ტროტუარზე მყოფი.(სათვალეებიანს შეხედავს და უჩუენებს ახმახზე). აბა სამსახური ამან უნდა დაიგვეხოს: ყოველ დილით ათ საათიდამ დაწყებული ვიდრე პირუელ საათამდე აქ შევიყრებით ხოლმე მე და ეს და მამიყვება ქუეყნის პოლიტიკასა, დასასრულიკი აღარ არის. რამდენი მართალია, ეგ აღარ ვიცი. დღეს მთელი დღე (ახმახი გაწითლდება) აქ ვიყავით, დაიწყო ჩინეთელების და იაპონელების ამბები და რო აღარ იქნა, ვერ დაასრულა, გუჯმაც ძლიერ შემაწუხა, წავიყვანე სადილათ იმ აზრით უფრო; ეგების დაესრულებინა. მაგრა ამ ჩემის ცოდვით სავსემ. არ დაასრულა, სადილიკი გამამტყუა. (ახმახს) რას გეუბნებიან შენი ნაჩალნიკები?...

ქალაქის ბიჭი. (რაც ძალი აქუს იცინის) ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!...

(ახმახი სივდება ჯავრით, უბღვერის ქალაქის ბიჭს.)

(სათვ:ლეებიანი და მარად ტროტრუარზედ მყოფი მოშორდებიან.)

ქალაქის ბიჭი. (უარესათ იცინის და უყურებს ახმახს.) ჰა, ჰა, ჰა. ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა ჰა ჰა?...

ახმახი (დაუტრიალდება ქალაქის ბიჭს, თუალებს უბრიალებს. თჳთქოს მძჳნვარე მხეცი, რომელიც მიიწევს თაის მსხუერპლზე გასაგლეჯავათ.)

ქალაქის ბიჭი. (მიეგებება ახმახს) გნებავსთ ლიმონები, აუცხოვო აპელსინებია. ინებეთ სამი ერთ აბაზათ.

ახმახი. (შეტევით) შე პადლეცო, როგორ შეიძელი?...

ქალაქის ბიჭი. რა, ბატონო? რას მიბძანებთ?...

ახმახი. შენ არ იცი?... ქოლავ... ახ, ტი კანალია, მერზავეც, დურალეი, ეშაკ, მუჟიკ Необразованный, ჩორტ, დიავოლ, Презрѣнный, ბალვან, Проклятый, ზვერ, სკორპიონ....

ქალაქის ბიჭი. (გულს აუქნევს) იქით, იქით. რუსული შენთვის შეინახე, მე კარგა გიცნობ; თვით შენა ხარ მორიელი.

ახმახი. (სიკაპასით დორბლებს ჰყრის. (Я тебѣ дамъ, мерзавецъ; ступай въ полицію!

ქალაქის ბიჭი. ჰა. ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!.

ახმახი. მასხარადაც მიგდებ. წადი, გიბძანებ, პოლიციაში!

ქალაქის ბიჭი. მე ისე არა ვარ, რომელზედაც გაგსვლია, შენკი არა, პაპაშენიც რომ მოვიდეს, წკიპარტსაც ვერ დამკრავს. (მღერის და თამაშობს.)

მორიელო შხამიანო,
სიბოროტის საჭურველო!
ჰკბენ ყველასა, ყველას შხამავ,
ბოლოს გულსკი გაგისრისავ...

ნასწავლი ფრანტი. მე ვარ პასუხის მგები ამისს მადიერ, რა გნებავსთ?

ახმახი. მე თქვენ არ გიცნობთ.

ნასწავლი ფრანტი. მაშ მშვიდობით...

## VI.

### მეოთხე სკამი.

ქალი და ვაჟი.

ვაჟი. ახ!...

ქალი. რათ ამოიოხრეთ, ყმაწვილო!

ვაჟი. ჩემისთანა უბედური არავინ დაბადებულა.

ქალი. როგორ!..

ვაჟი. ახ?...

ქალი. იმედი მაქვს მეტყვით ოხვრის მიზეზსა.

ვაჟი. ბედნიერი ვიქნები თუ გამანთავისუფლებთ მიზეზის თქმისაგან.

ქალი. თქუენ დღეშიც ვერ განთავისუფლდებით.

ვაჟი. ოჰ—მე!

ქალი. მითხარით.

ვაჟი. რა გამოვა თქმით! შევრცხვები, წამალი არ დამედება, მეკი დავიხრაკები ჯოჯოხეთის ცეცხლით.

ქალი. (მითამ მიხვედრილი არ არის) უკასკნელ, მეტყვით თუ არა მიზეზსა?

ვაჟი. საყუარელს არ უყუარვარ.

ქალი. ვინ არის თქუენი საყვარელი?

ვაჟი. ახლა ეგა მკითხეთ.

ქალი. მე მსურს.

ვაჟი. თქუენ...

ქალი. (სიცილით.) მე? ჰა, ჰა, ჰა!

ვაჟი. აგი მოგახსენებით, შევრცხვები მეთქი.

ქალი. (მითამ დაფიქრდება) ოჰ!..

ვაჟი. თქჳენ რაღათ ამოიოხრეთ?

ქალი. გამანთავისუფლეთ პასუხისაგან.

ვაჟი. თქჳენ დღეშიც ვერ განთავისუფლდებით.

ქალი საყვარელს არ უყვარვარ.

ვაჟი. ვინ არის თქჳენი საყვარელი?

ქალი. ეხლა ეგა მკითხეთ.

ვაჟი. მე მსურს.

ქალი. თქჳენა.

ვაჟი. ეგ რა მიბძანეთ? მე არ მიყვარხართ??..

ქალი. მატყუებთ.

ვაჟი. მაშ რა მაგიჟებს?

ქალი. სტყუით.

ვაჟი. სრული გიჟი ვარ; გულში მინთია გაუნელებელი ცეცხლი.

ქალი. ორ დღეზე განელდება.

ვაჟი. ვაიმე, ეგ რა მიბძანეთ! რა ეჭჳანი ბძანებულხართ!

ქალი. ვაჟები სულ დაუდგრომლები ხართ.

ვაჟი. თქჳენ დასერეთ ჩემი გული.

ქალი როგორ?

ვაჟი. ცილის წამებითა.

ქალი. მაინც?

ვაჟი. მე იმ ვაჟებთაგანი არა ვარ.

ქალი. რავდენი ხანი გასძლებს თქჳენ გულში ანთებული ცეცხლი.

ვაჟი. საუკუნოთ, აქაც საფლავშიც, ცაშიც.

ქალი. როგორ დავრწმუნდე მაგაზე?

ვაჟი. ერწმუნეთ ჩემს პატიოსნებას. (!!!)

ქალი. ამას იქით თქჳენი ვარ....

ვაჟი. (მხიარულად) შენკი გენაცვალოს ეს აღგზნებული გული!... (ერთს ვინმე გამვლელ ვაჟს თჳალით ანიშნებს რომ ქალი მოიგდო მახეში).

ქალაქის ბიჭი. (ხმა მაღლა) არიქა ძერამ მოიტაცა გვრიტი! უშველეთ, უშველეთ, გააგდებინეთ! აქშა შე წყეულო!..

(მირბის.)

## IX.

## სივრცე საშუალ მეოთხის და მეხუთის სკამებისა.

ორი მაძებარი ჭეშმარიტების ნატეხებისა და ერთი ტაკიმასხარა.

პირჳელი მაძებარი ჭეშმარიტების ნატეხებისა... (მეორეს.) მაგალითად, აგერ იმ ვირს დიდი ყურები რათა აქჳს?

ტაკი მასხარა. ოჰ, აბა ეგ გამარტე?

მეორე მაძებარი. ბუნება შემცდარა ვირის აშენებაში.

პირჳელი. როგორ?

ტაკიმასხარა. ჰა, ჰა, ჰა?

მეორე. მათემატიკის კანონებით ყოველი სხეული ისე უნდა იყოს აგებული, რომ ყოველი ასო პროპორციულად ეთანასწორებოდეს, ესე იგი, უნდა იყოს სრული სიმმეტრია; ვირს ყურები დიდი აქჳს, ფეხები პატარა; მაშასადამე ვირის შექმნაში ბუნება შემცდარა.

პირჳტლი. კლიტე შენის სილლოგიზმისა თუმცა კა-ნონიერად დაიკეტა, მაგრამ თჳთ შენს სილლოგიზმში არის შეცთომა, აი როგორი: ვირს თავი აქჳს დიდი; მაშასადამე ყურები ვირისა პროპორციულად ეთანასწორობა თავსა. თუ რო ეს იდეია არ დაგვიწყებოდა, მაშინ შენი სილლოგიზმის კლიტე ისე არ დაიკეტებოდა, როგორც შენ დაკეტე. სარწმუნო ხარ შენ ამაზედა?

მეორე. არა...

ტაკი მასხარა. დამაცადე, დამაცადე! შენისავე სიტყჳთ შენვე გაგამტყუნებ: ვირი ხომ ვირია კარგი. ახლა გაზომე იმისი ტანი, გამოდის რომ ვირს რო თავი დიდი აქჳს, ყურებიც დიდი უნდა ჰქონდეს.

მეორე. ფეხები?

ტაკი მასხარა. ფეხები? რა ვქნათ. შენ როგორა ხარ დარწმუნებული, რო ვირს სწორეთ დიდი ფეხები არა ჰქონდეს?

მეორე. აშკარათა სჩანს.

პირჳტლი. თვალები გაცთუნებს. ჯერ უნდა დარწმუნებული იყო რო თჳალი არ გაცთუნებს, რომ შენი თჳალი სწორეთ და შეუცთომლათ ზომავს ვირის ფეხებსა, მერმე უნდა ნახევრად დარწმუნდე. ნახევრად და არა სრულიად. უმთავრესი საფუძჳელი მეცნიერებისა არის რომ საგანი იმ სახით არ უნდა დავინახოთ, როგორც გვეჩჳენება; ამიტომ რომ ჩჳენი გრძნობები სრულ არ არიან.

ტაკი მასხარა. ამასთან იმასაც ნუ დაივიწყებ, რომ მაშტაბი და ფარგალი სრული იყოს. თუმცა სრული

შეუძლებელია, მაინც კიდევ სწორეთ და ზედ მიწევნით ვერ გაზომავ საგანსა.

მეორე. რა გამოდის მანდედამ?

პირჳელი. ისი, რომ ვირის შექმნაში ბუნება არ შემცდარა.

მეორე. შენისავე სიტყჳთ შენვე მტყუნდები. თუ საგანი, მეცნიერების კანონით, არ უნდა დავინახოთ ისე, როგორც გვეჩჳენება, მაშ შენ როგორღა ხედავ ვირში უმეტნაკლულობას.

ტაკი მასხარა. შენ არ გესმის ჩჳენი აზრი. ჩჳენ ვამტკიცებთ, რომ ვირს უნდა ჰქონდეს მოდიდრონო ფეხები, და არ ვანბობთ აქჳსო დიდი ფეხები.

მეორე. ამას ხომ ამბობთ: თავი დიდი აქჳსო?

პირჳელი. დიაღ.

მეორე. რათ ანბობთ: აქჳსო დიდი, რატომ არ ამბობთ: დიდი უნდა ჰქონდესო?

პირჳელი. გამიგონე. ფსიხოლოგიური შეხედულობა საგანზე სხჳაა, მათემატიკური სრულიად სხჳა.

მეორე. მაშასადამე ფსილოგიურის შეხედულობით საგანს სრულიად ვერ ვიცნობთ, მათემატიკურის შეხედულობით კი სწორეთ ვიცნობთ. ჰა, ჰა. ჰა! მაგრამ გსთქჳათ, სწორეთ ასეა, ანუ ასე უნდა იყოს, ახლა მიბძანეთ მათემატიკურის შეხედულობისაგან (ვირის ფეხებზე) რათ გადახვედით ფსიხოლოგიურის შეხედულობაზე? ლოგიკურის კანონით ერთს საგანზე ერთ და იგივე დროს, ორი წინააღმდეგი ერთი მეორის სჯა შეუძლებელია: ან უნდა სთქჳა ჰო, ან არა.

ტაკი მასხარა. ჰო, აბა მეც ეგ მინდოდა. ჩჳჱნ გვიჭირავს საშუალი ადგილი. ვერც ვიტყვით ჰო, ვერც არა.

მეორე. ჰა, ჰა, ჰა! რო ანბობთ ჰოო?

ტაკი მასხარა. უმაწჳლებო! ჩჳჱნ ავცდით საგანსა. და ესრეთ დაუტრიალდეთ ამ საგანსა; მიბძანეთ: ვირს დიდი ყურები რათა აქჳს?

(ამ დროს ნასწავლი ფრანტი არიგებს ქალაქის ბიჭსა, რომელიც შემდეგ დაუახლოვდება მობაასეთ მეცნიერებასა).

ქალაქის ბიჭი. უმაწჳლებო! კარგი ლიმონები, აპელსინები, სპიჩკა.

ტაკი მასხარა. (ქალაქის ბიჭს) ბიჭო ვირს დიდი ყურები რათა აქჳს?

ქალაქის ბიჭი. ვირში მე ვხედავ საკჳრველს პოეზიასა. ვირში გამოიხატება მოკლეთ და ცხადად ბრწყინვალე, მაღალი აზრი: ესე იგი ვირი არის ხატი უმეცრებისა. ღმერთმა განგებ შექმნა ვირი ამ სახით და დაუახლოვა კაცსა, რომ უმეცარი კაცი ხედავდეს ვირში თავისს სახესა. ვირს აქჳს ტანი პატარა, ეგ ის არის, კაციც პატარაა; ვირს აქჳს პაწაწკუნა ფეხები ეგ ის არის, კაცს ბევრის გამოკჳლევა არ შაუძლიან; ვირს აქჳს თავი დიდი და ცარიელი, ეგ ის არის: კაცი ამაოდ გამოიძიებს მიუწთომელ საგნებსა; ვირს დიდი ყურები აქჳს ეგ ის არის, ვინც ამ მიუცთომელ საგნების გამოკჳლევას გამოუდგება, ისი უსაშინელესი უმეცარია, ესე იგი ვირია..,

მობაასენი. ბრავო! ბრავო!...

. . . . . . . . . . . .

ბატონო მკითხჳელო! მე აღგითქჳ თქჳენ აღწერა ყოველივესი, რაცკი ვნახე და გავიგონე ტფილისის ტროტუარზე. ერთი ნაწილი ავწერე, დანაშთენის აწერისაგან და უმორჩილესად გთხოვ. გამანთავისუფლოთ, მიზეზი ცხადია; გაგრძელება და იგივე უსიამოვნო კაცის მოქმედებისა, დათვარებულისა მხოლოთ სხჳა და სხჳა ფერშირბადესი თქჳენ არის გასიამოვნებდა და უფრო დაგიწყრულებდა გულს....

ბიძია თონიკე.

---

## მამა აბრაამის საფლავი.

უცხო ქჳეყნის ჟურნალში იწერებიან სხჳა სხჳა ამბავებთან: ყოფნაზედ პალესტინაში პრინცის ვალიისკისასა, რომელსაც უნახავს საფლავები მამა მთავრებისა ღებრონიაში, ანგლიის კარალევის შჳლსა დიდის მეცადინეობით ძლივს მიუღია ნება შესვლისა რამდენისამე მხოლოდ კაცებით თავისის ამალისაგან მეჩითშია, სადა განისვენებენ მამამთავრები, რომელთაც თანასწორ აძლევენ პატივს, როგორათაც მამადიანები, აგრეთვე ქრისტიანენი. ქრისტეს საფლავის გულისათჳს რომ ომები იყო იმ ჟამიდამ აქამომდე არავის ქრისტიანეთაგანს არ მიუღია ამ გვარი პატივი, რომ ნება ჰქონიყო შესვლა იმ ალაგს, სადა განისვენებენ მამამთავარნი. აი რა უნახავს კარალევას შჳლს: მეჩიტში ერთს მხარეს კუთხეშია

მარჯვნივ არის აკლდამა და შიგ საფლავი მამა აბრაამისა. მეორე აკლდამა და შიგ საფლავი სარასია და აქჳსთ კარები ვერცხლისა, დაკეტილია, დიდის კედრებით და დიდის ხვეწნითა ძლივს ბძანებითა ინჟიურის პატრიარხი-საგანსა გაადეს კარი აკლდამა აბრაამისა; მთელი აკლდამა არის: მარმარილოს ქვისა საფლავი ისეც გაკე-თებული მარმარილოს ქვისაგან, აქჳს ფორმა კუბოსი გადაფარებული სამის მწვანე ხალჩაფუფლჩებით ოქრომ-კედით ნაკერით, ის ხალჩაფუფლჩები შეუწირავთ: მაჰმადს მეორეს, სელიმს პირველს, სულთანს აბდულ მეჯიდს. მაგრამ სარას საფლავი არ უჩვენებიათ, რადგანაც ქალის საფლავი არისო. იმ მეჩითშია უჩვენებიათ აგრეთვე საფლავები ისაკისა და რევეკასი, რომლებიც დასაფლა-ვებულ არიან ცალცალკე აკლდამაში და კარებიც აქჳსთ რკინისა და არა ვერცხლისა. რევეკის საფლავი აგრეთვე არ უჩვენებიათ. როდესაც ვსთხოვეთ ნება ისაკის საფ-ლავის ნახვისა უარი მივიღეთ და რასაკვირველია რომ ამაზედ დიდად გავიკვირვეთ რომ არ მიგვიშვეს აბრაამის შვილის საფლავის სანახავად როდესაც თვით აბრაამის აკლდამა გაგვიღეს და საფლავი გვაჩვენეს. ამ უარის თქმის მიზეზი შეგვატყობინეს, რომ იმ ორს წმინდა მამათ სხვა და სხვა ზნეობა ჰქონდათო, აი მაგალითიო: წმიდა მამა აბრაამი იყო ლმობიერი გულისა, დიდათ უარზედ იდგა, სოდომგომორის დაქცევასა და დაღუ-პვაზედაო, ვისაც უნდა რითმე შეეწუხებინა არას დროს არ იწყენდა და ყველას მოითმენდაო; მაგრამ საშიშათ გვაქჳსო ისაკის საფლავის შერყევა და გაჯავრებაო. იმის

მიზეზითაო, რომ როდესაც იბრაიმ ფაშამ მოიპყრო პალესტინიო, მოიწადინა მამა ისაკის აკლდამის ნახვაო, მაშინ მამა ისაკმა უარჰყო, და ფაშა მაშინვე დაეცაო როგორათაც მეხისაგან მკუდარი ცხოველიო, აი რა არის მიზეზი რომ ვერ გაჩუენებთო. საფლავები წმინდა იაკობისა და ლიისა მეჩითის კარებთან არისო. ლიის საფლავზედ იყო აყუდებული ერთი მწვანე ბაირაღიო, რის შესანიშნავად ვერ აღგვ ხსნესო. იაკობის აკლდამის კარები უთხოვნელად გაგვღესო.

მიხ. ჩივიანი.

---

## რედაქციისაგან.

«ცისკრის» რედაქცია მოახსენებს უგულითადესს მადლობას, ბრწყინვალე კნიაზს, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის კანცელიარიის გამგებელს, ნიკოლაოზ სიმონის ძეს აბაშიძეს, რომელიც არასა ზოგავს ჩუენის სამშობლოს ლიტერატურის შემწეობის მიცემისათჳს. უკეთუ ამ გვარნი პირნი არ მოგვაკლდებიან მსგავსად მისსა შემწეობას, დარწმუნებულნი ვართ ჩუენი სამშობლო სიტყვიერება მიეცემა დიდს წარმატებასა. რედ.